


წელი  
ქართულ  
სცენაზე

ეროვნული  
გიგანტთა ეკი

# 3 ქ ე ტ ე ნ ა ც ე ლ ე კ ი ძ ე



---

შელი  
ჩართულ  
სცენაზე

---

თბილისი  
1999



რედაქტორი: **განაცხაძე**

შემდგენელი: **ლევან ბოლიძე**

მხატვარ-  
დიზაინერი: **გიორგი ავსაჯანიშვილი**

ფერადი  
ფოტოები: **ლევან გორგიაძე**

ტექნიკური  
რედაქტორი: **ზაირა გასილაშვილი**

კორექტორები: **ქათევან ზაქარევიშვილი**  
**დავით გაგრაშვილი**

## „რამდენი ბედნიერი ღღე ბანმიცდია...“

**პ**ე ბედნიერი კაცი ვარ იმით, რომ ბევრი დიდი მსახიობის გეერდით მომიხდა მუშაობა და მათგან ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ უბედური ვარ იმით, რომ ისინი ჩემი ხელით დავასაფლავე, — აი, ეს არის ჩემი ტრაგედია!“ — ამას ამბობს 88 წლის ვახტანგ სალარიძე — თბილისის საპატიო მოქალაქე, ლირსების ორდენის კავალერი, ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალი ჯილდოს მფლობელი, საქართველოს სახალხო არტისტი. კაცი, რომელიც 70 წელია ქართულ სცენას ემსახურება და თავისი ბრწყინვალე საშემსრულებლო ოსტატობითა და რაინდული ბუნებით დღესაც ხიბლავს მაყურებელს.

ვახტანგ სალარიძე 1912 წლის 24 ივლისს დაიბადა, შთამომავლობით ლვთისმსახურთა ოჯახში. მამა, დავით სალარიძე, 1914 წლიდან სიონის საკათედრო ტაძრის მთავარი დიაკვანი, ხოლო მღვდლად კურთხევის შემდეგ სოფელ რუისის ისტორიული ფერისცვალების ეკლესიის წინამდგარი გახლდათ. ხუთი ვაჟკაცი იზრდებოდა მამა დავითის ოჯახში. მას საოცარი მუსიკალური ნიჭი და ხმა ჰქონდა. თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე ახალშექმნილმა სახელმწიფო კაპელამ კონცერტი გამართა, რომელშიც ცნობილი ქართველი კომპოზიტორისა და ლოტბარის — ნიკო სულხანიშვილის მცდელობითა და საქართველოს მაშინდელი კათოლიკოს-პატ-

რიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის კირიონ II-ის ლოცვა-კურთხევით, დავით სალარიძე სოლოს მღეროდა. ხელოვნების სიყვარული სწორედ ნიკო სულხანიშვლმა ჩაუნერგა პატარა ვახტანგს.

დამყარდა საბჭოთა წყობილება, რომელიც მთელი მონდომებით ცდილობდა, ადამიანი, პირველ რიგში, უფლისგან დაეშორებინა, რათა საკუთარი იდეები, საკუთარი კერპები ადვილად მოეხვია თავს. მძიმე დღეები დაუდგა სალარიძეების ოჯახს. სასწაულებრივად გადაურჩა მამა დავითი რეპრესიებს და მხოლოდ 1953 წელს დაუბრუნდა სიონის საკათედრო ტაძარს.

რვა წლის ვახტანგ სალარიძე უფროსი მმის — ირაკლის მიერ დადგმულ საშინაო საექტაკლებში მონაწილეობდა. სწორედ იმ დროიდან ჩაესახა თეატრის სიყვარული და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ მსახიობის როული გზა აირჩია.

მისი აქტიორული ცხოვრება ბორჯომში დაიწყო — სახალხო თეატრის სცენაზე მსახიობმა და რეჟისორმა ალექსანდრე ყიასაშვილმა გაბრიელ სუნდუკიანის „პეპო“ დადგა, 17 წლის ვახტანგმა გიქოს როლი შეასრულა.

1929 წელს ვახტანგ სალარიძე ჩაირიცხა რუსთაველის სახელობის თეატრთან არსებულ ორწლიან თეატრალურ სტუდიაში, სადაც მხო-

ლოდ ერთი წელი ისწავლა. ცნობილმა თეატრალურმა მოღვაწემ გრიგოლ (გუგული) ბუხნიკაშვილმა ჩამოაყალიბა ცეკავშირთან არსებული მოძრავი თეატრი, 1930 წლიდან ვახტანგ სალარიძე მისი წევრია. აი, ოოგორ იხსენებს მსახიობი იმ პერიოდს: „ვამაყობდი, რომ ამ დასის წარმომადგენელი ვიყავი, მან ვამამდიდრა ახალი, სასიამოვნო შეგრძნებებით. ოცა განვლილ გზას გავცეკერი, ყოველთვის ვიგონებ ამ დასში მუშაობას, როგორც ჩემი თეატრალური ცხოვრების საუკეთესო დროს...“

„ერთი წელი ამ თეატრში ვიმუშავე, იქ გავიცანი შალვა დადიანი, ვალერიან გუნია, ალექსანდრე იმედაშვილი და მრავალი საამაყო ქართველი. ასეთი ხალხის ხელში გავიზარდე და თუ ქართველი ვარ, ნამდვილი ქართველობა მათგან ვისწავლე...“ — თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგ სალარიძეს ნამდვილი ქართველობისთვის, მართლაც, არასდროს უდალატია.

ცეკავშირის მოძრავი თეატრი ორი ჯგუფისგან შედგებოდა — აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. ვახტანგ სალარიძე აღმოსავლეთის ჯგუფში მიიღეს. მასში სხვადასხვა ასაკის 16-17 წევრი იყო გაერთიანებული. თეატრს ორი საკონცერტო პროგრამა ჰქონდა. ერთი შეადგინა თვით გუგული ბუხნიკაშვილმა, როგორც დრამატურგმა, მეორით წარმოადგენდნენ შალვა დადიანის პიესას „რაც არ გერგება, არ შეგერგება“, რომელიც იძღვინდელ სოციალურ პრობლემებს შეეხებოდა. რეპეტიციები ცეკავშირის შენობაში მიმდინარეობდა. დასის რეჟისორი გახლდათ ნიკო გომიაშვილი. ამ თეატრს მუდამ გვერ-

დში ედგა და გულშემატკივრობდა დიდი ქართველი თეატრალური მოღვაწე ვალერიან გუნია.

ახალგაზრდა მსახიობისთვის მჩქეფარე თეატრალური ცხოვრება დაიწყო — 1931-1935 წლებში ჭიათურის, თელავისა და ქუთაისის სახელმწიფო თეატრებში მოღვაწეობდა.

ჭიათურის თეატრში ვახტანგ სალარიძე საოცრად ნიჭიერმა რეჟისორმა, მსახიობმა და ბრწყინვალე პიროვნებამ პავლე ფრანგიშვილმა მიიწვია. ამ დასის წევრები უპარივნენებ გრიგოლ ტყაბლაძე, თამარ აბაშიძე, პავლე ქსოვრელი და სხვები. მხცოვან მსახიობს კარგად ახსოვს — პავლე ფრანგიშვილმა დიდ ტრაგიკოს მსახიობს ალექსანდრე იმედაშვილს შემოქმედებითი საღამო მოუწყო. მან „ოტელოში“ ყველაზე რთული, III მოქმედება — ეჭვიანობის სცენა ითამაშა. ოტელო ალ იმედაშვილი გახლდათ, დეზდემონა — ნინონი (ნინო მჭედლიშვილი), იაგო — პავლე ფრანგიშვილი, ხოლო ახალგაზრდა ვახტანგი — კასიო. „იმედაშვილს შვილი არ ჰყავდა და მე შვილობილს მეძახდა. მაშინ ოცი წლისა ვიყავი...“ — იგონებს ვახტანგ სალარიძე. ალექსანდრე იმედაშვილზე დიდი სერგო ზაქარიაძე ამბობდა: მსოფლიოში ტრაგიკული როლების ყველა შემსრულებელს უტოლდებოდა.

თელავის თეატრში რეჟისორმა გარ რიკმა — ვახტანგ ვაჩნაძემ მიიწვია. ინგლისელი მსახიობის სახელი და გვარი იმიტომ აიღო ფსევდონიმად ამ შესანიშნავმა შემოქმედმა, რომ თავადიშვილი იყო და დევნიდნენ. მართლაც, იგი მალე რეჟისორმა ვახტანგ აბაშიძემ შეცვალა. აქ ახალგაზრდა მსახიობ-

თან ერთად სცენაზე გამოდიოდნენ — სერგო და ბუხუბი ზაქარიაძეები, მერი ქორელი, ნუცა ჩხეიძე, სხვები და სხვები...

შემდეგ თეატრის დასი გაიყო — რეჟისორი ვახტანგ აბაშიძე ქუთაისის თეატრში გადაიყვანეს და ნაწილი მსახიობებისა მას გაჰყვა, მათ შორის ვახტანგ სალარიძე და სერგო ზაქარიაძე.

ეს უკვე საკუთარი შემოქმედებითი გზა იყო, გზა, რომელსაც დღესაც ღირსეულად და უდიდესი ერთგულებით მიუყვება ნიჭიერი პროფესიონალი — ვახტანგ სალარიძე.

1935 წლიდან იგი ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის მსახიობია.

**1882 წლის 24 ნოემბერს** თბილისის დრამატული თეატრის სცენაზე დაიდგა ქ. ოფენბახის ოპერეტა „მეჯლისი იტალიელებით“. ეს იყო პირველი ნამდვილი ოპერეტა ქართულ ენაზე, ქართულ თეატრში, ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი. დიდალი მაყურებელი მოვიდა ამ უჩვეულო წარმოდგენის სანახავად. მანამდე გაზეთებში წერდნენ: „ოპერეტა ქართულ ენაზე?! მართლაც რომ სასაცილოა!“ მაგრამ დასაცინი არაფერი აღმოჩნდა, სიცილით კი ბევრი იცინეს. მაყურებელი მსახიობთა ოსტატობამ მოხიბლა. მეორე დღეს გაზეთები იტყობინებოდნენ: „იქ, სადაც ნიჭია და სურვილი, შეუძლებელი შესაძლებელი ხდება, ურწმუნოება რწმენად იქცევა“. „მეჯლისი იტალიელებით“ გადმოაქართულა ვასო აბაშიძემ და გრიფელის მთავარ როლს თვითონვე ასრულებდა, მსახურ თევდორეს — კოტე მესხი, ერნესტინას — მაკო

საფაროვა. ნაწარმოები იმდენად გაქართულებული იყო, რომ სცენაზე ტიპიური თბილისელი ვაჭარი და იმერელი მსახური მოჩანდნენ. ხოლო კეკლუცმა ერნესტინამ თავის არიაში ქ. ოფენბახის მუსიკას „ციცინათელას“ სიტყვები მიუსადაგა.

ვასო აბაშიძემ სულ რვა ოპერეტა თარგმნა, მისი გენიალობის წყალობით ტრადიციული ქანრი ახალ თვისებებს იძენდა — ქართულ ყოფით კომედიას უახლოვდებოდა, ადგილობრივი აუდიტორიისთვის ახლობელი, გასაგები ხდებოდა.

ვასო აბაშიძემ პირველმა მოიტანა ქართულ სცენაზე ეს საშემსრულებლო ქანრი. მას მალე ნიჭიერი მიმდევარი გაუჩნდა — ნიკო გოცირიძე. მათ განუყრელად ედგა გვერდში მაკო საფაროვა-აბაშიძისა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში საოპერეტო თეატრის პორიზონტზე გამოჩნდა ორი სახელი: დათა მგალობლიშვილი და ლადო კაგსაძე. შემდეგ მოვიდა ოპერეტის საოცრად მოყვარული დირიჟორი პოლიკარპე ფალიაშვილი, რომელმაც აამაღლა სპექტაკლების მუსიკალური დონე. ამ ქანრს ასევე დიდი ამაგი დასდო დირიჟორმა ვანო ფალიაშვილმა, რომელიც თბილისის სახაზინო თეატრის (ამჟამად ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი) სცენაზე დირიჟორობდა კლასიკურ ოპერეტებს.

მე-19 საუკუნის დამლევსა და მე-20 საუკუნის დამდეგს ყველა წინაპირობა იყო შექმნილი ეროვნული მუსიკალურ-კომედიური ქანრის კლასიკური ნიმუშის დაბადებისთვის. და აი, ისიც — ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“.

1926 წლის მიწურულს მუშკოოპის გამგეობის თავმჯდომარემ ალექსანდრე ერისთავმა თავის ერთ-ერთ მუშაკს — მიტო მაისურაძეს დაავალა თანამშრომლებისგან თვითმოქმედი წრე შეეკრიბა და პატარ-პატარა გასართობი, მხიარული მინიატურები მოემზადებინა. ამ მცირე კოლექტივს კოოპორატივი უწოდეს. მასში ნიჭიერმა ადამიანებმა მოიყარეს თავი. სულ ცხრანი იყვნენ: ვასო გერსამია, შაქრო ოსეფაშვილი, მარგო მესხი, თამარ ფერიაშვილი, მიხეილ დრეიძე, იროდიონ უგულავა, დავით მესხი, ნოკო სურცია, პიანისტი ჰარიკა ვართაზანოვი. „ანტრე“ — ასე გამოდიოდნენ ავანსცენაზე ახალბედა თეატრის მონაწილენი, ერთნაირ ლურჯ ხალათებში გამოწყობილნი. მათი პირველი პიესების ავტორები იყვნენ მიტო მაისურაძე და ნიკოლოზ ჩახავა, კომპოზიტორები — კოტე მეღვინეოუხუცესი, იოსებ და ნიკო შარაბიძეები, კოტე ფოცხვერაშვილი, ვალერიან ცაგარეიშვილი.

მაყურებელი სიამოვნებით ესწრებოდა ამ პატარა დასის, როგორც უწოდეს, „მუსიკალური სატირის მოძრავი თეატრის“ წარმოდგენებს. ცოტა ხნის შემდეგ თეატრში მოვიდნენ მიხეილ ჭიაურელი და ლუდე ძნელაძე, მათ პროფესიული თეატრის შექმნა დაისახეს მიზნად. დასი გაიზარდა. შემოემატნენ: ბორის ჩეჩელაშვილი, ზიზო ჯალიაშვილი, მარგო ციციშვილი, შოთა მგალობლიშვილი, ალექსანდრე ყიფიანი, პიანისტები სოსო შარაშიძე და ვალერიან ცაგარეიშვილი — შემდგომში ამ თეატრის პირველი სულისხამდგმელი და კომპოზიტორი. მოგვიანებით მიიწვიეს ალექსი მაჭავარიანი. ლუდე ძნელაძე

დე დირექტორი გახლდათ, მიხეილ ჭიაურელი — სამხატვრო ხელმძღვანელი. კოოპორატივის დასმა შემოიკრიბა შემოქმედი ახალგაზრდობა: ნიკოლოზ ჩახავა, გალაქტიონ რობაქიძე, როდიონ ქორქია, შალვა შარაშიძე (თაგუნა), სიკო ფაშალიშვილი და სხვები...

1935 წელს ფრთა შეესხა მთელი დასისა და მისი ხელმძღვანელობის ოცნებას — „მუსიკალური სატირის მოძრავი თეატრი“ შეიყვანეს სახელმწიფო თეატრების სისტემაში და მას „მუსიკალური კომედიის თეატრი“ უწოდეს. პირველი საეტაპო წარმოდგენა გახლდათ ქ. მოლიერის „სკაპენის ოინები“, რომელიც თარგმნა გ. ფრონისპირელმა, კომპოზიტორი — ვ. ცაგარეიშვილი, რეჟისორები — მ. ჭიაურელი და დ. ძნელაძე.

აი, ამ შესანიშნავ დასში მოვიდა ვახტანგ სალარიძე, იგი თავიდანვე გრძნობდა, რომ მისი ადგილი სწორედ აქ იყო. ამ თეატრში მისი დებიუტი შედგა ჯ. ვლეტჩერის კომედიაში — „ესპანელი მღვდელი“, სადაც ლეანდროს როლს ასრულებდა. ამ შესანიშნავი სპექტაკლის გამარჯვებაში ლეანდროს როლის შემსრულებელსაც უდევს შემოქმედის წილი. აქედან მოყოლებული დღემდე, თითქმის სამოცდახუთი წელია, ვახტანგ სალარიძეს მაყურებლის აღიარება არ მოჰკლებია. როგორც თეატრმცოდნე მირა ფიჩხაძე წერს: იგი „...სულ ახალგაზრდა მოვიდა ამ თეატრში და თან მოიტანა სიცოცხლე, სიხალისე, სილამაზე, ოპერეტისადმი უსაზღვრო სიყვარული, როდესაც პირველად ლეანდროს როლში გამოვიდა „ესპანელ მღვდელში“, მ. ჭიაურელი და დ. ძნელაძე მაშინვე მიხვდნენ,

რომ ქართულმა საოპერეტო სცენამ, ქართულმა საოპერეტო ჟანრმა შეიძინა მსახიობი, რომელიც მის ისტორიაში დატვებს მნიშვნელოვან კვალს“ (მ. ფიჩხაძე, „ქართული მუსიკალური კომედიის თეატრი“, საქართველოს თეატრალური საზოგადოება, თბილისი, 1983).

რეჟისორი არჩილ ჩხარტიშვილი ასე იღონებს მსახიობს: „მე მას პირველ რეპეტიციაზევე მივაქციე ყურადღება და დავრწმუნდი, რომ არ შევცდი, როდესაც ჩემს სპექტაკლში „როზ-მარი“ გერმანი ვათამაშე. ვახტანგ სალარიძე ძალიან ინტელიგენტური მსახიობია. სულ უბრალო ადამიანსაც რომ თამაშობს, არასოდეს არ კარგავს შინაგან პულტურას. ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოპერეტაში, შესაძლოა ბევრად უფრო დიდი, ვიდრე სხვა რომელიმე ჟანრში. აქ ადვილია ვულგარულობაში გადავარდნა“.

სიცოცხლისმოყვარე, არტისტული ბუნების, დიდი მუსიკალობითა და იუმორის გრძნობით დაჯილდოებულმა ქართველმა ხალხმა შეიყვარა ოპერეტა — მუსიკალური კომედია, ჟანრი, რომელიც ესოდენ ახლობელი, ესოდენ მნიშვნელოვანი გახდა ვახტანგ სალარიძის სულისთვის, ჟანრი, რომელშიც სრულად გამოვლინდა და გაიხსნა მისი უბადლო მსახიობური ტალანტი. მას რამდენჯერმე სთხოვეს სხვა თეატრში გადასვლა, მაგრამ მუსიკალური კომედიის ჟანრი იმდენად ახლოს იყო მის შინაგან ბუნებასთან, რომ ჟარი განაცხადა.

„ჩვენი დამსახურება იმაშია, რომ შევქმნით ქართული მუსიკალური კომედიის თეატრი, რომელიც აუცილებლად უნდა მაყუ-

რებელს, რადგან ქართველი კაცის რჯულსა და სისხლში არის დატანებული მუსიკა, სიმღერა, სიცილი, ცეკვა და ეს კველაფერი ამ თეატრში უნდა იყოს თავმოყრილი“, — ამბობს მხცოვანი მსახიობი.

ვახტანგ სალარიძე ქართული საოპერეტო სცენის საუკეთესო ბონი იყო ი. კალმანის „სილვაში“. მან თავის გმირს ინდივიდუალური თვისებები შესძინა, რამდენიმე ისეთი შტრიხი, ისეთი მიზანსცენა შემოიტანა, რამაც სახე ახლებურად გაააზრებინა. მისი ნაპოლეონ სენ-კლოში ი. კალმანის ოპერეტაში „ბაიადერა“, ჩვეულებრივი ლაპარაკის ნაცვლად დუდლუნებდა, რითაც ისედაც კომედიური სახე ბუფონადურ ხასიათს იძენდა. სულ სხვა იყო მსახიობის კაეტანა ა. რიაბოვის „კოლომბინაში“. ამ როლში მან დრამატიზმის ელემენტები შემოიტანა. ყველაზე მეტად სახასიათო, კომედიური როლები უყვარდა, ქართული სინამდვილიდან აღუბული სახეები — მისი ჭიბალა ვ. ცაგარეიშვილის მუსიკალურ კომედიაში „სამთა სიყვარული“ ისეთი რეალისტური იყო, რომ მან ბევრად განაპირობა ნაწარმოების წარმატება. საინტერესოდ გახსნა აქტიორმა გურამის სახე შ. მილორავას ოპერეტაში „სიმღერა თბილისზე“, ასევე ჰაროლდისა და ჯორჯის სახეები გ. ცაბაძის ტრაგიკომედიაში „ჩემი შეშლილი ძმა“.

ვახტანგ სალარიძის შემოქმედებითი აქტიორული ნიჭის დამადასტურებელია გამოჩენილი რეჟისორის გიზო უორდანიას (მან დადგა ი. კალმანის „ცირკის პრინცესა“) მონათხრობი: „მე სულ ახალგაზრდა ვიყავი, გამოუცდელი. ვახტანგ სალარიძეს ერთ-ერთი

# კატეგორიული სალიკიძე 88

კომედიური როლი პქონდა, მე მინდოდა მიზანსცენის მიხედვით, რომ ის დიდი სიმაღლიდან პარაშუტით დაშვებულიყო სცენაზე. მან სულ სხვა რამ შემომთავაზა. სადღაც იშოვა პატარა ფიცრის ყუთი და დახვრეტილი ქოლგა. ყუთი ისეთი დაბალი იყო, რომ არც კი ჩანდა წესიერად იატაკზე. შედგა მასზე, ქოლგა გახსნა, თითქოს შიშისაგან გამქრალმა, ძირს არ დავვარდეო, თვალები მოჭუტა და ყუთიდან ისე გადმოხტა, დარბაზში პომერული ხარხარი ატყდა. ეს შესანიშნავი აქტიორული მიგნება იყო — ნამდვილი ოპერეტული ხერხი. ერთმა დეტალმა მთელი მიზანსცენა გახსნა. მე მაშინ დავრწმუნდი, თუ რას ნიშნავდა თეატრალური პირობითობა, რომ ზოგჯერ ასეთი პირობითობა ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე სცენაზე პირდაპირ გადატანილი რეალობა. იმ დღიდან მე ვახტანგ სალარიძის თაყვანისმცემელი გავხდი და ის საოპერეტო ჟანრის ბრწყინვალე მსახიობად ვირწმუნებ:

ვახტანგ სალარიძე ქართული ოპერეტის ჩამოყალიბებისა და განვითარების ცოცხალი ისტორია. იგი ფართო დიაპაზონის მსახიობი გახლავთ და ამიტომაც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან მის მიერ განსახიერებული სახეები. ერთ საღამოს იგი კლასიკური ოპერეტის გმირი — გერმანი, ბონი ან ნაპოლეონ სენ-კლოში იყო, მეორე საღამოს — დარდიმანდი გურამი, მხიარული კუპური ან საოცრად სასაცილო ჭიპალა.

ქართველ კომპოზიტორებთან იმდენად ახლო მეგობრობა პქონდა და მათ შორის იმდენად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ ახალი ნაწარმოების შექმნის პროცესის

უშუალო მონაწილე ხდებოდა. შესანიშნავი ქართველი კომპოზიტორი გიორგი ცაბაძე იგონებდა: „მან ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა. თეატრში საკუთარი შვილივით მიმიღო და ბევრი რამ მასწავლა... ის ახალგაზრდა ავტორთა შეფი იყო. ერთ-ერთ მთავარ როლზე დანიშნეს ჩემს ოპერეტაში „ბრწყინვალე მომავალი“. თამაშობდა გზაბანეული კუპურის როლს. რეპეტიციიდან ერთად გამოვედით. ძალიან მეამაგებოდა, რომ მის გვერდით მოვდიოდი. იმდენი თაყვანისმცემელი ჰყავდა, რომ ხან იქით მიბრუნდებოდა სალმისათვის და ხან აქეთ. მახსოვს ჩვენს შორის ასეთი დიალოგი: ჩემი გმირისათვის რომ არია მოიტანე, ის უფრო ლირიკულ გმირს უხდება. ჩემს გმირს კი სულ სხვა ხასიათი აქვს, თავისი ბუნება, თავისი სამყარო. ამიტომ მუსიკაც სულ სხვანაირი მჭირდება. ისეთი, რომ მხოლოდ მე მომიხდეს — მაშინ მე მოვახერხებ დამაჯერებელი სახე შევქმნა სცენაზე. მუსიკამ უნდა მიკარნახოს სცენური ქცევაო. მე მაშინ ბევრ რამეს მივხვდი“.

შალვა აზმაფარაშვილის ოპერეტა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ ვახტანგ სალარიძის უშუალო მონაწილეობით იქმნებოდა. მან ბევრი რამ შესთავაზა კომპოზიტორს, თვითონ კი შეუდარებელი სანდრია იყო. შემდგომ თეატრის ახალგაზრდა მსახიობმა ა. გოგორიშვილმა ნიჭიერად განაგრძო მისი საშემსრულებლო ტრადიციები, როგორც ამ სპექტაკლში, ისე უ. პაჯიბეკოვის „არშინ-მალ-ალანში“.

უამრავი — მისი თქმით, სამასზე მეტი, მუსკომედიის თეატრში კი ორასამდე რო-

ლი განასახიერა შემოქმედმა სცენაზე: ბონი (ი. კალმანის „სილვა“), ფრანც ნაპოლეონ სენ-კლოში (ი. კალმანის „ბაიადერა“), პანა-ტელიასი (ჟ. ოფენბახის „პერიკოლა“), ბოლ-მა-ვანო (გ. ცაბაძის „კურკას ქორწილი“), გუ-რამი (შ. მილორავას „სიმდერა თბილისზე“), შაქრო (გ. ცაბაძის „მეტეხის ჩრდილში“), სო-ლეიმანი (ჟ. ჭავიძეეკოვის „არშინ-მალ-ა-ლან“), კარაპეტა (შ. მილორავას „ძუნწი“), სანდრია (შ. აზმაიფარაშვილის „რაც გინა-ხავს, ვეღარ ნახავ“), კაეტანა (ა. რიაბოვის „კოლომბინა“)... ჩამოთვლა ნამდვილად გაგ-ვიჭირდება.

მხცოვანი აქტიორი უდიდესი პატივისცე-მით იხსენებს პარტნიორ ქალებს. ადრეულ წლებში მის გვერდით იდგნენ: ელენე აბა-ზაძე, ელენე ფეიქრიშვილი, დარო ვაშაკიძე, ელზა გურამიშვილი, თამარ აბაშიძე, ზინა ბერძენიშვილი, ნინონი (ნ. მჭედლიშვილი), დარო მიქელაძე, ქეთევან კევლიშვილი... მუ-სიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის სცენაზე: ბარბარე იანგარაშვილი, მარგო ინ-გილო, ზიზო ჯალიაშვილი, თამარ კიქნაძე, ივლიტა ჯორჯაძე, ელენე ჩოხელი, მარო ხო-ფერია, თინა მერკვილაძე, ევგენია გურაშვი-ლი, დღეს — ლილი ჩიბალაშვილი, ნინო ლა-ლიძე... საკუთარ თავთან ერთად ყოველთვის საუბრობს ამ თეატრის კორიფეულზე — ნი-კოლოზ მოსეშვილსა და ალექსანდრე ტუ-რიაშვილზე.

ვახტანგ სალარიძის ბოლო როლია პი-ლა იოსელიანი გ. ჩლაიძის ოპერეტაში „ო, ადონაი, ისმინე!“ ისე საინტერესოდ გახსნა მან პილას ეპიზოდური სახე, რომ მაყურებ-ლის მახსოვრობაში სამუდამოდ დაიკავა

კუთვნილი ადგილი.

დიდი მიხეილ ჭიაურელი ამბობდა — „ქართველ ხალხს არა აქვს უფლება, მუსი-კალური კომედიის თეატრი არა ჰქონდეს!“ ქართველმა მაყურებელმა, მართლაც, თავი-დანვე შეიყვარა კლასიკური ოპერეტა, შეიყ-ვარა ეს შესანიშნავი თეატრი. ვახტანგ სა-ლარიძე ასე მოგვითხობს გარდასულ წლებ-ზე: „ჩვენდა სასახელოდ მინდა ვთქვა, რომ აქ ცხენოსანი პოლიცია იდგა, იმდენი მაყუ-რებელი გვყავდა. მთელი თბილისი, მთელი საქართველო დადიოდა ჩვენს თეატრში. გვქონდა ბედნიერება, მთელ საქართველოში გვემოგზაურა და ყველგან დიდი გამოხმაუ-რება გვქონდა. უყვარდათ ჩვენი თეატრი და ეს ბედნიერება იყო ჩვენთვის. როცა დავითი-რდები, ვგრძნობ, რამდენი ბედნიერე დღე განმიცდია მაყურებლისაგან. ეს ნამდვილი ბედნიერებაა. ჩვენი თეატრი მუსიკალური კო-მედიის თეატრი იყო და ეს უანრი არ შეიძ-ლება მოკვდეს...“

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრს მაყურებელი, მართლაც, არასდროს მოჰკლებია, ამაში კი ლომის წი-ლი სწორედ გახტანგ სალარიძის უბადლო ტალანტს მიუძღვდა.

მხცოვანი მსახიობი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებს იმ კომპოზიტორებს, დრამატურგებსა და რეჟისორებს, ამ უანრში რომ მუშაობდნენ და უდიდესი წვლილი შეი-ტანეს ქართული კლასიკური ოპერეტის დამ-კვიდრებასა და განვითარებაში.

ყველას — პარტნიორსაც და მაყურე-ბელსაც — ყოველთვის ხიბლავდა და ხიბ-ლავს ვახტანგ სალარიძის დახვეწილი მანე-

# კახტან სალაშვილი 88

რები, ნამდვილი ოპერეტული პერი, ყოველი როლისთვის ვოკალური ინტონირების სრულიად განსხვავებული შესრულება, სითბო, თავაზიანობა...

კლასიკური ოპერეტისა და ქართული მუსიკალური კომედიის თეატრის დიდი გულშემატკივარი, თავისი საქმის ჩინებული ოსტატი, უდრეკი სულისა და კეთილშობილური გულის ადამიანი — ვახტანგ სალარიძე დღესაც სცენაზეა და თავისი მაღალნიჭიერებით კვლავ ატკბობს მაყურებელს.

კარგი ოჯახი ადამიანის ღირსების ერთერთი მთავარი მაჩვენებელია. ვახტანგ სალარიძეს, მართლაც, საოცრად თბილი, ინტელიგენტური ოჯახი აქვს. მნელია შემოქმედის, განსაკუთრებით კი მსახიობის მეუღლეობა. ისინი ხომ მუდამ მოუცლელნი, საექტაკლებითა და რეპეტიციებით დაკავებულნი, ბავშვებივით სათუთნი და ცხოვრებისეული კრობლემებისგან დაშორებულნი არიან. ქალბატონმა თინა სალარიძემ ეს ყველაფერი შესანიშნავად იცის — რამდენიმე ათეული წელია ერთგულად, უდრტვინველად ეწეოდა და ახლაც ეწევა მსახიობის მეუღლის მძიმე ჭაპანს.

ბატონი ვახტანგის ვაჟიშვილი, დავით სალარიძე, საქართველოში ცნობილი კაცია. ეს ის პიროვნებაა, რომლისთვისაც სიტყვა და საქმე ერთია (რაც ასე იშვიათია დღეს!), მშობელი ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნვა მისი მთავარი მიზანია.

ოჯახის ტრადიციას მათი რძალი, დავით სალარიძის მეუღლე — ნატო თათარაშვილი აგრძელებს. იგი საქართველოში ცნობილი

სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ამქვეყნიდან უდროოდ წასული შოთა თათარაშვილისა და ორი შვილის — გიორგისა და ნატოს — ღირსეულად აღმზრდელი ქალბატონის — მერი კანდელაკის ქალიშვილია. ნატო — თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დოცენტია, არის მეცნიერებათა კანდიდატი. პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას მშვენივრად უთავსებს ოჯახურ საქმიანობას.

ნატოსა და დავითის ქალიშვილი, ბატონი ვახტანგის შვილიშვილი — ნატუკა მე-11 კლასის მოსწავლეა, მას მთელი ცხოვრება წინა აქვს და იმედია, ოჯახის ტრადიციას ღირსეულად გააგრძელებს...

რუისის ფერისცვალების ეკლესიის ბოლო მოძღვარი გახლდათ მამა დავითი, ვახტანგ და დავით სალარიძეების მამა და ბაბუა. ამჟამად ეს ისტორიული ეკლესია აღდგენილია სწორედ ამ უანგარო ოჯახისა და მათი ახლობლების შემწეობით. უფლის მაღლი დაბრუნდა მათ მშობლიურ სოფელში.

დგთის შეწევნით, მალე 21-ე საუკუნეში შეაბიჯებენ ვახტანგ სალარიძე და მისი ოჯახის წევრები...

**მანანა სანაზირაძე**  
**ლევან დოლიძე**






ვახტანგ სალარიძე

ვახტანგ სალარიძის მამა — დავითი



ვახტანგ სალარიძის მეუღლე — თომა

ვახტანგ სალარიძის დედა — სოფია




# ვახტანგ სალარიძე 88



გორის სასულიერო სასწავლებელი, 1893-1894 წ.  
ზემო რიგში მარცხნიდან მეოთხე — სოსო ჯუღაშვილი,  
მასთან — ვახტანგ სალარიძის მამა — დავით სალარიძი.

...ვახტანგ სალარიძე მაყურებლის საყვარელი მსახიობია. არსად, სულ პატარა როლიც რომ ჰქონდეს, გარეგნულ ეფექტს არ მიმართავს. რაოდენ მაცდურია ეს ოპერეტა-ში, ფანტაზია მუდამ სახის შინაგანი არსილან, მისი ბუნებიდან მომდინარეობს. ზომიერების გრძნობა მისი შესანიშნავი თვისებაა. ამავე დროს მის სახეებს ყოველთვის ისეთი შნო და ლაზათი დასდევს, რომ ხშირად მაყურებელი მის სანახავად მოდიოდა თეატრში...

მირა ვიჩხაძე  
თეატრმცოდნე




ახალგაზრდა მსახიობი

ვახტანგ სალარიძე — 1932 წ., ძუთაისი



ვახტანგ სალარიძე, 1931 წ., თბილისი




... ვახტანგ სალარიძე განსახიერებული ხასიათის გააზრების პროცესში ბრმად არ მიჰყება ავტორს, მკაცრი ანალიზით ღრმად წვდება ამა თუ იმ გმირის ბუნებას, ტექსტუალური მასალისა და დრამატურგისეული სიტუაციების მიხედვით ცდილობს გაარკვიოს პერსონაჟის სოციალური მდგომარეობა, გახსნას მისი სულიერი სამყარო. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება გარდასახვა, მხატვრული სახის ხორციელება და გაცოცხლება. ალბათ ამიტომაც გამოხატავენ მის მიერ განსახიერებული გმორები თვითონ მათივე შემოქმედი არტისტის მრავალსახეობას.

**იხა პაკანაძე**  
თეატრმცოდნები ფასო აბაშიძის  
სახელობას მუსიკალური კომედიას თეატრის  
სალიტერატურო ნაწილის გამგე

1932 წ. ძუთაისი, „სხვისი შვილი“



# ვაჟა-პეტერების სალიკი 88



20 ფლის ვახტანგ სალიკიძე

...ხშირად წარსული წლების გახსენებისას ბატონი ვახტანგი ქუთაისის თეატრში მოღვაწეობასთან ერთად, თავის კოლეგასა და მეგობართან ალექსანდრე (ჭიჭიკო) ბეგალიშვილთან ერთად გატარებულ დღეებს იგონებს. ჭიჭიკო — მამაჩემია. ეს იყო 1934 წელს. მე მაშინ ერთი წლისა ვიყავი. რამდენჯერ ხელში აყვანილი ვუთამაშებივარ ბატონ ვახტანგს, ეს „საფიჩხიაზე“ ხდებოდა.

და აი, უკვე 40 წელია მე მისი უმცროსი მეგობარი, კოლეგა და პარტნიორი ვარ.

ბატონი ვახტანგის სახით ჩვენს თეატრს ჰყავს თავისი ცოცხალი მემატიანე, აღმზრდელი, ცხოვრებისეული პედაგოგი, სამაგალითო, კაცური კაცი, ნაღდი ქალაქელი და ალალად თბილისის საპატიო მოქალაქე.

მის შემოქმედებაზე მე რა უნდა ვთქვა. იგი იყო, არის და მუდამ იქნება უბერებელი ქართველი მსახიობი, ლეგენდა თეატრისა, ქართული თეატრის ბერმუხა. ამას წინათ წვეულებაზე გახლდით, ბატონი ვახტანგის დაბადების დღეს აღვნიშნავდით. ბატონ ვახტანგს უპირველესად ჯანმრთელობა დაგულოცე და ახლაც იგივეს ვიტყვი: ბატონი ვახტანგ! ჯანის სიმრთელეს დაგილოცავთ და ღმერთსა ვთხოვ, ახლა როგორცა ხართ, ერთი ოცი წელი კიდევ გვიმყოფოს თქვენი თავი ამ ქვეყნად. თქვენი მრავალეამიერით ახდილიყოს ფარდა ჩვენი საყვარელი თეატრის ახალ შენობაში.

**ბატონი ბებალიშვილი  
საქართველოს სახალხო არტისტი**

,ნანატრი საქმრო“, ვოლდემარი — ვ. სალარიძე




## ესეც შედა იცოდეთ

**გ**ატონი გახტანგ სალარიძე დღეს ყველაზე უხუცესი მსახიობია ქართულ სცენაზე, მაგრამ ჯერ კიდევ ჭაბუკურად არის შემართული. არის ბრწყინვალე მოქალაქე და შესანიშნავი ადამიანი. ხალხში დიდი სიყვარულით სარგებლობს. არის შესანიშნავ ოჯახში გაზრდილი. მამამისი დავით სალარიძე სასულიერო პირი გახლდათ. წლების მანძილზე სიონის საკათედრო ტაძრის პროტოდიაკონი იყო. მისი შესანიშნავი ხმის მოსასმენად ხალხი სპეციალურად დადიოდა ტაძარში. დამთავრებული პქონდა გორის სასულიერო სემინარია, მღეროდა გოგლიჩიძის ცნობილ ანსამბლში. ამ ანსამბლში განსაკუთრებით გამოირჩეოდა სოსო ჯუღაშვილისა და დავით სალარიძის დუეტი. თავის



„სახისი ვპილი“, სერგო ზაქარიაშვილი და ვახტანგ სალარიძე, 1933-34 წლის სეზონი

„ნანატრი საქმრო“, მიშა — ვ. სალარიძე



დროზე ეს პრესაშიც იყო აღნიშნული. სოსო ჯუღაშვილი იოსებ სტალინი რომ გახდა, არც მაშინ ივიწყებდა თავის სემინარიელ მეგობრებს — პეტრე კაპანაძესა და დავით სალარიძეს.

ამით ყოველთვის ამაყობს და იამაყებს ჩვენი საყვარელი გახტანგი.

ნოდარ ხუნდარია  
ლრამატურგი



# 33 წლის სალარი 88



მუსიკალური  
კომადის თეატრის  
მთლიანი კოლექტივი  
ზეგდიდში  
ბასტონლებისას,  
1936 წ.



მუსიკალური  
კომადის თეატრი  
ვაგონით მისი  
ბასტონლების დროს



მუსეკომედიის თეატრის კოლექტივი, 1939 წ.

**„გუბერანთუბანში“** ჩვენს ბებერ ლომს, მუსეკომედიის თეატრის წამყვან მსახიობს ათეული წლების მანძილზე, ბატონ ვახტანგ სალარიძეს თამაზ ტყემალაძე ესაუბრებოდა. ტელევიზია იწერდა. ბატონი ვახტანგი თავდაპირველად ცოტას განიცდიდა როგორც ყველა პატიოსანი კაცი. მერე აქტიორულმა სითამამემ იძალა და ვგრძნობდი, როგორ ეხმარებოდა თამაზის, რომელიც ცოტა დაბნეული იყო ამ 85 წლის კაცის აძსოლუტური მეხსიერებით... იგი საუბრობდა, როგორ ნახა კოტე მარჯანიშვილი, როგორი პიროვნება იყო სანდრო ახმეტელი, როგორ იცნობდა იეთიმ გურჯას, რა შეხვედრები ჰქონდა ალ. იმედაშვილთან, რომელსაც „მამას“ უწოდებს, შალვა დადიანთან და ილია ჭავჭავაძის დიდ ქომაგთან, ილიას უმცროს მეგობართან გალერიან გუნიასთან. მერე მღეროდა როგორი ეშიოთ, როგორი ვოკალიოთ...

— ჩემი ნება რომ იყოს, ბატონ ვახტანგს ყოველდღე ვესაუბრებოდი ტელევიზიით. რამდენი რამ იცის... რამდენი რამ აქვს ნანახი, განცდილი, დმერთმა აცოცხლოს!

„აქტიორი“, ეთერ თკუჯავა —  
გოგი ხარაბაძის მტკრვეულან,  
თბილისი, 1998 წელი



ვახტანგ სალარიძე — 1941 წ., თბილისი

# კახტანების სალიკიძე 88



1942 წ., სამხედრო საშეფო საპონცერტო გრიბადა. მეორე რიბზი მარცხნიდან პირველი — ვ. სალიკიძე

**ჩ**ემი შვილიშვილი გიორგი ახლა 8 წლის  
არის და ფეხბურთითაა გატაცებული...

ხან პაიჭაძეა, ხან მესხი, ხან მეტრეველი...

არ მოსწრებია და არ ვიცი, საიდან იცის  
მათი სახელები და გვარები...

ჩვენს ოჯახში არც ფეხბურთის დიდი  
მცოდნეა ვინმე, თუმცა რა ცოდნა სჭირდება  
ამ ვარსკვლავებს...

ამაყობს მათი სახელებით... მათი ქართვე-  
ლობით!

ჩემს ახალგაზრდობაში რუსთაველზე და-  
დიოდნენ ხორავა, ზაქარიაძე, ვერიკო, სესილია,  
ზურიკო ანჯაფარიძე, დათიკო გამრეკელი...

ჰოდა, მეც ვამაყობდი მათი სიარულით,  
მათი არსებობით...

ბატონო ვახტანგი, თქვენც იმ თაობისა და  
კატეგორიის ადამიანებს ეკუთვნით, რომ-  
ლებითაც ვამაყობთ ჩვენ, თქვენი შვილები და  
შვილიშვილები.

თქვენი ნიჭი,

გაცობა,  
ქართველობა,  
ოჯახიშვილობა —  
დიდი ზნეობის მაგალითია.

თქვენ ის ხელოვანი ბრძანებებით, ვისთვი-  
საც დადის მაყურებელი თეატრში. თქვენ ის  
მსახიობი ბრძანებებით, ვის გამოჩენაზეც და  
სცენიდან გასვლაზე ტაშს გიკრავთ თქვენზე  
შევგარებული მაყურებელი.

სადღა არიან ასეთი მსახიობები...  
სადღაა ის მაყურებელი...  
არადა, მომავალ თაობებს მაგალითი  
სჭირდებათ, ცოცხალი მაგალითი!!!

ბოგი ხარაბაძე

საქართველოს სახალხო არტისტი  
შოთა რუსთაველისა და მარჯანიშვილის  
სახელობის სახელმწიფო პრემიების  
ლაურეატი

**Г**ინდა გავიხსენო **50**-იანი წლების დასაწყისი, როდესაც მე ჩემს მშობლებთან ერთად ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში ვნახე რევაზ ლალიძის ოპერეტა „მეგობრები“. ამ სპექტაკლში ერთ-ერთ მთავარ როლში ბატონი ვახტანგ სალარიძე გამოდიოდა. მან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც მშვენიერი ხმის მქონე მომღერალმა და ასევე, ძალიან პლასტიკურმა კომედიურმა მსახიობმა.

გავიდა წლები და **1969** წელს მუსიკალური კომედიის თეატრის ხელმძღვანელობამ შემომთავაზა დამეწერა ოპერეტა „მეცხრე ტალღა“ მიხეილ გოგიაშვილის ლიბრეტოს მიხედვით. სპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა ბატონმა შოთა მესხმა ერთ-ერთ მთავარ როლზე (აბრამგულა) ბატონი ვახტანგი მიიწვია. უნდა ითქვას, რომ ვახტანგ სალარიძემ ამ სპექტაკლში შესანიშნავი კომედიური სახე შექმნა, ხოლო თეატრის წამყვან მსახიობებთან ელენე ჩოხელთან და ბარბარე იანგარაშვილთან ერთად წარმოდგენილმა კომედიურმა დუეტმა მსმენელთა უდიდესი აღიარება მოიპოვა.

„დალი“ — მიშა



„სიმღერა თბილისზე“ — გურამი

ჩემს ერთ-ერთ შემდეგ სპექტაკლში „შვიდი მმანნი გურჯანელნი“ ბატონმა ვახტანგმა, მიუხედავად ეპიზოდური როლისა, მეტად შთაბეჭდავი სახე შექმნა და ასევე დიდი წარმატება და მოწონება მოიპოვა.


მე სიამოვნებით ვიხსენებ ბატონი ვახტანგის მრავალ დაუვიწყარ როლს, მის ბრწყინვალე სამსახიობო ტალანტს და ბედნიერი ვარ, რომ იგი დღესაც შესანიშნავ ფორმაშია, გამოდის საკონცერტო ნომრებითაც და თავის ხელოვნებას თეატრის მოყვარულთა ახალ თაობას წარმოდგენს. მიუხედავად ხანდაზმულობისა, მისი ხმა დღესაც შესანიშნავად ჟღერს და მის ყოველ გამოსვლას დიდი ოვაციები ახლავს თან.

გუსურვებ ჩემს უსაყვარლეს ადამიანს, ლეგენდარულ მსახიობ ვახტანგ სალარიძეს ჯანმრთელობას და მომავალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

გვარა აზარაშვილი

კომპოზიტორი

# ვახტანგ სალარიძე 88



ბშეშტი ზაქარიაძე, ვახტანგ სალარიძე, ალექსანდრე ტურიაშვილი

ვახტანგ სალარიძე და შოთა მილორავა



**ო**რმოციანი წლების მიწურული იყო. ქუთაისში ვსწავლობდი საშუალო სკოლაში და თბილისი ჩემთვის მხოლოდ შორეული ოცნების ქალაქი გახლდათ. ერთხელაც ვეწვიე თბილისს და ბედმა მუსიკალური თეატრის სპექტაკლზე მომახვედრა. ბუნდოვნადაც კი არ მახსოვს, რა სპექტაკლი გნახე. მხოლოდ მსახიობები დამამახსოვრდნენ, იმ თაობის ბრწყინვალე მსახიობები! მერე ქუთაისში დაბრუნებული თანაკლასელებს აღტაცებული ვუყვებოდი ამ სპექტაკლის შესახებ. ყურადღებით მისმენდნენ, სანამ ერთმა მათგანმა არ შემაჩერა: „იმ სპექტაკლში სხვა მსახიობები ვერ დაინახე, სულ ვახტანგ სალარიძე რომ გველაპარაკებიო?..“

ეს თითქმის გადავიწყებული ამბავი ერთმა ამასწინანდელმა შემთხვევამ გამახსენა:

ჩემი თაობის უკვე ხანდაზმულმა მუსიკა-

ლური თეატრის მსახიობებმა ნაძალადევის კულტურის სახლში წარმოდგენა გამართეს და მიმიწვიეს. ყველაზე ხნიერი ბატონი ვახტანგი იყო (თუმცა მასზე უფროსი აღარც აღარავინაა ქართულ სცენაზე). მხიარული, ნიჭიერი წარმოდგენა გნახეთ. ჩემი ბიძაშვილის შვილი, პატარა თამთა მახლდა თან. სახლში დაბრუნებულს გვითხე — თუ მოგეწონა-მეთქი. კარგახანს მეტიტინებოდა აღტაცებული და ბოლოსდა შევამწიე — ისიც სულ ვახტანგ სალარიძეზე ლაპარაკობდა.


ძველი ამბავი გამახსენდა და გამეღიმა. ვფიქრობ, ესეც საკმაოა იმის დასტურად, ვინ არის ვახტანგ სალარიძე ჩვეულებრივი მაყურებლისათვის. მისი დიდი შემოქმედების შეფასება კი მომავლის საქმეა.

### ვახტანგ ბოგოლიაშვილი

პოეტი



ვახტანგ სალარიძე და ბოგი ცაგამე



„ჩვენი ნაცენტები“  
მარცხნიდან: შ. ნაცვლიშვილი, ა. მაზმიშვილი,  
გ. სალარიძე (ოთარი)



სცენა საექტაბლიდან „როზ-მარი“



## ვახტანგში

**ဂ**ატონი ვახტანგ სალარიძე ჩემი უფროსი მეგობარია. იგი არის ფანტასტიკური ნიჭის შემოქმედი და მიეკუთვნება იმ დიდ კორიფეთა პლეადას, რომლებმაც სულ სხვა მხრიდან დაგვანახეს თეატრის სიმშენიერე. მე მხედველობაში მაქვს ამა თუ იმ სახის შექმნისადმი მათი ნოვატორული მიღება. ამის თვალნათლივი მაგალითია ის უამრავი დიდოსტატურად გამოძერწილი სახე, რაც ბატონმა ვახტანგმა შექმნა მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე. არ შევუდგები იმ მრავალრიცხვოვანი როლების ჩამოთვლას, რომლებიც ბატონმა ვახტანგმა განახორციელა — ამის თქმის უფლებას ის

„როზ-მარი“, გერმანი — 3. სალარიძმ,  
შანა — ბ. იანვარაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმი



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური  
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
1950 წ. 30 თებერვალის ბრძანებულებით  
თქვენ, ამხ. ფასუანგ დავითის-ძე საღარიძე  
ხელოვნების  
დარგში თვაღსაჩინო დამსახურებისათვის

მოგენიჭათ

საქართველოს სსრ  
დამსახურებული არზისადა  
ფ თ დ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

3. გოგუა


საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის მდგრანი

ვ. ვ. გოგუა

ქ. თბილისი 9 თებერვალი 1951 წ.  
№ 3006



„არშინ-გალ-ალან“ — სოლეიმანი



მსახიობის ფოტოსილუსტი, 28 აპრილი, 1955 წ.

სცენა სკეპტაკლიდან „რაც გინახავს, ვეღარ ငახავ“



# 38 საბურიშვილი



3. სალარიბმ, 1955 წ.

გი გაგებით, ახლავს მის ყოველ მოქმედებას, ეს ესტს... დაუვიწყარია მსახიობის მიერ შექმნილი სახეები ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე. გარდასახვის უდიდესი უნარი, არაევეულებრივი ხმა და ბრწყინვალე აქტიორული ტალანტი შერწყმულია მის რაინდულ თვისებებთან — სწორედ ამიტომაც მოაბიჯებს იგი ასე თავაწეული და შუბლნათელი თითქმის 70 წელია ქართულ მიწაზე, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული და გულანთებული...

ზეიმია თითოეული შეხვედრა ვახტანგ სალარიძესთან — თეატრში, მეგობრულ წრესა თუ მადლიან ქართულ სუფრაზე. „უკანასკნელი მოჰიკანივით“ დგას იგი ქართულ სცენაზე — ამაყი, ძლიერი და საოცრად მომხიბლელი.

**ჭაბუა ამირეჯიბი**

**უ**ლ ახალგაზრდამ შეაბიჯა სცენაზე ვახტანგ სალარიძემ და უკვე სამოც დაათი წელია მხურვალე ტაშით ეგებება მას მადლიერი მაყურებელი. ქართული სცენის კრიფეებთან ერთად ერთგულად, კაცურად ეწეოდა და დღესაც ეწევა ხელოვნების მძიმე ჭაპანს. თავისი ნიჭიერებით, ელეგანტურობითა და უკეთილშობილესი პიროვნული თვისებებით ხიბლავდა ყველას და სასიხარულო, რომ მხცოვანი მსახიობი ამჟამადაც ახალგაზრდული გატაცებით ემსახურება საყვარელ საქმეს — საოპერეტო ხელოვნებას.

თბილისელებისთვის ვახტანგ სალარიძე შესანიშნავი აქტიორი, უანგარო მეგობარი, სიკეთითა და სითბოთი სავსე ადამიანი და უბადლო თამადაა. არტისტიზმი, ყველაზე კარ-




3. სალარიბმ, 45 წლის



„დალი“ — მძღოლი გიგა

# ვაკესი სალარიშვილი 88



„ნანატრი სამრო“, ვოლდემარი — ვ. სალარიშვილი

## 21-ი საუკუნი გელოდებათ, ბა- ტონო ვახტანგ!..

**ჩ**ვენი თაობის ცნობიერება, ძირითადად, ომისწინა და ომის წლებში ჩამოყალიბდა. მაშინ თეატრალურ სამყაროს ამშვენებდნენ ქართული სცენის კორიფეები — აკაკი ხორავა, ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ვასაძე, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, სხვები და სხვები... რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების გვერდით მაყურებელთა დიდი სიყვარულით სარგებლობდა მუსიკალური კომედიის თეატრი და ეს, პირველ რიგში, ოპერეტის დიდოსტატის, შეუდარებელი ტალანტის მქონე მსახიობის ვახტანგ სალარიშვილის დამსახურება იყო, მას გვერდში ედგნენ თავისი საქმის ასევე ბრწყინვალე რსტატები — ნი-

კოლოზ მოსეშვილი, ბარბარე იანგარაშვილი, ალექსანდრე ტურიაშვილი...

სასცენო ხელოვნების ამ უნიჭიერეს წარმომადგენელთა სპექტაკლებზე დასწრება ჩვენთვის მთელი სკოლა იყო, მათგან და მათ მიერ განსახიერებული გმირებისგან ცხოვრებას, თეთრისა და შავის გარჩევას, ნამდვილ ქართველობასა და ხელოვნების სიყვარულს ვსწავლობდით.

ომის უმძიმეს წლებში, ყველგან გამეფებული სიკვდილის, შიშის და შიმშილობის მიუხედავად, ადამიანის სული თავისას ითხოვდა — მას გამხნევება, დამშვიდება და მშვენიერების აღქმა ესაჭიროებოდა. ქართველი კაცისთვის ეს ბუნებრივი იყო — ის ხომ მშიც სიმდერით მიდიოდა, მიცვალებულსაც სიმდერით დაიტირებდა... და აი, იმ ავბედით

წლებში დია იყო თბილისის ყველა თეატრის გარი, რაიონებშიც მოგზაურობდნენ, სპექტაკლებსა და კონცერტებს მართავდნენ, ხალხს ცოტა ხნით მაინც ავიწყებდნენ უბედურებას, გაჭირვებას. მუსიკალური კომედიის თეატრს ამ მხრივ განსაკუთრებული დატვირთვა პქონდა — მას მაყურებლისთვის სიცილი, სიმღერა და სიხარული მოჰქონდა. სწორედ ამ წლებიდან უფრო დამამახსოვრდა ვახტანგ სალარიძე — ამ თეატრის პრიმა- მსახიობი, რომ იტყვიან, ოპერეტის სული და გული, დამსწრეთა უმეტესობა მის სანახავად მოდიოდა, მისი ხმა და შეუდარებელი პლასტიკა ხიბლავდა.

შემდეგ, როდესაც ბატონი ვახტანგის კოლეგა გავხდი და უფრო დავუახლოვდი, დაგინახე — იგი არა მარტო ბრწყინვალე მსახიობი, არამედ არაჩვეულებრივი პიროვნება, ფაქიზი სულისა და სიკეთით აღსავსე ადამია-



ნი გახლდათ. სამშობლოზე შეყვარებული ინტელიგენტი, ნამდვილი თბილისელი და ქართული სუფრის მშვენება...

88 წლის ბატონი ვახტანგი დღესაც სცენაზეა, ძველებურად ხიბლავს მაყურებელს და უჭვი არ მეპარება, ის კიდევ იტყვის თავის სიტყვას თეატრსა თუ კინოში...

ბატონო ვახტანგი, იცოცხლეთ, იხარეთ, თქვენს ოჯახთან ერთად, რომელმაც საქართველოს ღირსეული შვილი — დავით სალარიძე აღუზარდა.

**21-ე საუკუნე გელოდებათ, ბატონო ვახტანგი...**



რამაზ ჩხიტვაძე

„ჯერ დაიხოცხე, მერა იქორჭინეს“  
აკოლოები — ვ. სალარიძე

# კულტურის სამსახურის 88

**თ**ითქოს პარადოქსია, მაგრამ ცხადია, რომ ბატონი ვახტანგი, ქართული სცენის ეს ცოცხალი ლეგენდა — ისტორიასაც ეკუთვნის და ჩვენს თანამედროვეობასაც.

მე აქ მარტოდენ მის ასაკს არ ვგულისხმობ. მის არტისტიზმში ჰარმონიულადაა გაერთიანებული წარსულის გამოცდილება (კაცმა რომ თქვას, თვითონაა ეს წარსული!) და დღევანდელი სცენური ხელოვნების სიახლენი.

წარსულშიც რომ დარჩენილიყო ანუ მუსიკალური თეატრის ყველაზე რომანტიკულ პერიოდში რომ არ განეცადა მეტამორფოზა და „ძველი სახე“ შეენარჩუნებინა, მაინც დიდი არტისტი იქნებოდა. მაგრამ ჭეშმარიტი სიდიადე გამორიცხავს დროის ფარგლებს. ბატონმა ვახტანგმა უმაღლ აუდო ალლო ახალ თეატრალურ ესთეტიკას და „ძველიდან“ ძალდაუტანებლად გადმოვიდა „ახალში“, ანუ რომანტიზმიდან ჩვენს მკაცრ სინამდვილეში.

კლასიკურ რეპერტუარში შესრულებული თითქმის ყველა მისი როლი მინახავს (აქ არ შემიძლია არ მოვიხსენიო მისი უნიჭიერესი პარტნიორი, განუმეორებლად მომხიბლავი კოლია მოსეშვილი), ევროპულ, რუსულ თუ ქართულ ოპერეტებში მისი სახეები ახლაც ცოცხლად მიდგას თვალწინ.

ყოველთვის მაოცებდა ბატონი ვახტანგის ბუნებრივი გადასვლა ტექსტიდან სიმღერაზე და პირუკუ. არ არის დასამალი — მუსიკალური თეატრის სპექტაკლებში ხშირად ყურს გვჭრის მეტყველების არაბუნებრიობა, ხმის ხელოვნური ფონსირება და ინტონაციის „თეატრალობა“ (რომ არა ვთქვა — სიყალბე). ბატონი ვახტანგი ამ მხრივაც გამონაკლისი გახლდათ. არია, არიოზო თუ რეჩიტატივი ბუნებრივი მეტყველების გაგრძელება

იყო. მუსიკალური ფრაზის კადენსს იგი, თითქოს, „პროზაული“ მეტყველებისთვის ამზადებდა, ხოლო დიალოგისა თუ მონოლოგის ბოლო სიტყვების ინტონაციები ერთგვარ მუსიკალურ „უვერტიურას“ ქმნიდნენ. ამას დაუმატეთ მისი არტისტული თავისუფლება (რაც მხოლოდ თანდაყოლილი ნიჭის თვისებაა), პლასტიკა, მომხიბლელობა, უშუალობა და დამეთანხმებით, რომ მხოლოდ პალიტრის ასეთი მრავალფეროვნება განაპირობებს მისი სცენური სახეების ბუნებრიობას და განუმეორებლობას. მოგვიანებით, უპირატესად სახასიათო როლების შესრულება მოუწია და აქაც განგვაცვიფრა თავისი მახვილი თვალით, ზუსტად მიგნებული შტრიხებით და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პლასტიკით, რომელმაც ბოლოს სირბილე და ფორმის გრძნობა შეიძინა.

საკმარისია ბატონი ვახტანგი ავიდეს სცენაზე მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მოძრაობით, დადგეს მაყურებელთა წინ და უმაღლ დარბაზს ავსებს მისი სხეულიდან წამოსული ფლუიდები, რომლებიც გვაგრძნობინებენ იმ განსაკუთრებული ატმოსფეროს იდუმალებას, რომელსაც მხოლოდ დიდი არტისტები ქმნიან. მე კი თვალწინ მიდგანან მთელი მისი უკრცესი რეპერტუარის გმირები, ვხედავ უამრავ ნიღაბს, მესმის მისი ხმა, სავსე განსაკუთრებული მელოდიური ინტონაციებით და გადავდივარ წარსულში, საიდანაც დღემდე დიდი ესთეტიკური სიამოვნება გამოყვა.

ნოდარ გურაბანიძე





„გომბლე“  
ყარაჩოლელი — გ. სალარიძე

## საქართველოს სსრ სახალხო არტისტის


ამს. ს. ა. ლ. დ. გ. ს.

3. 2. 6. 4. 2. 5. 8. 4. 2. 3. 0. 0. 6. 4. 3. 8


**საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბ-  
ლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1966 წლის  
28 თებერვალის ბრძანებულებით მოგანიჭე  
თქვენ, ქართველოւ საბჭოთა კულტურული გა-  
ვითარებაში დამსახურებისათვის.**

## საქართველოს სსრ სახალხო არტისტის

წოდება.




საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის თავმჯდომარე




საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის მდივანი თ. ა. გ. ვ. ბ.

ქ. თბილისი 1966 წ. 10 ქ. ა. რ. ფ.



„ჩემი შემძლობი ძეა“ — ჰაროლდი



ვასტანდ სალარიძე და მიხეილ გერიაშვილი

## მრავალსახეობა არტისტისა

**წ**ენ ხშირად ვლაპარაკობთ მაყურებლის დამოკიდებულებაზე თეატრისადმი და საკმაოდ რთულ ემოციურ კომპლექსს ვა- გევთ ამ დამოკიდებულებაში... ნაკლებად კი თვით თეატრის დამოკიდებულებაზე მაყურებლისადმი, თითქოს იქ რაღაც მიუწვდომ იღუმალებას ვხედავთ და გამჟღავნება გვე- რიდება.

თეატრი ზრდის მაყურებელს... მაყურე- ბელი ზრდის თეატრს... თეატრში მხოლოდ რჩეულნი განიცდიან შეუჩერებელ ზრდას და მომავალშიც ბრწყინვალე არტისტებად გვე- ლინებიან.

მსახიობის ადგილს საზოგადოებაში მა-

ყურებელი განსაზღვრავს. მაყურებლის უშუალო დამოკიდებულება ემოციურ გამოძა- ხილს ამკვიდრებს.

ვახტანგ სალარიძე ქართული სცენის ბრწყინვალე მსახიობია. მისი შემოქმედება ვასო აბაშიძის თეატრში უაღრესად კოლო- რიტულია... და თუ ათეული წლების მანძილზე მას არ მოჰკლებია მაყურებლის დიდი სიყვარული, ეს ვახტანგ სალარიძის ხალასი აქტიორული ნიჭიერებისა და ოსტა- ტობის მონაპოვარია.

ვახტანგ სალარიძეს სცენაზე შემო- ვლამდე, კულისებშივე ცნობს მაყურებელი. უმაღ ასტეხს ტაშისცემას და ეს ტაშის-

ცემა რასაც ნიშნავს, უმაღ ხვდება მთე-  
ლი დარბაზი — მალე სალარიძე გამოჩ-  
ნდება.

გეგონებათ, ვერაფერი შეაჩერებს ამ  
ტაშისცემას, მაგრამ საკმარისია მსახიობის  
ერთი უსიტყვო ჟესტი, ან ბაგის შერხევა,  
რომ საოცარი სიჩუმე ჩამოვარდება... მაყუ-  
რებელი მონუსხულივით უცქერს მის მო-  
რაობას, ისმენს მის სიტყვას...

ვახტანგ სალარიძე მოღვაწეობდა სა-  
ქართველოს სხვადასხვა კუთხეში — 1931-  
32 წწ. ჭიათურის სახელმწიფო თეატრი,  
1932-33 წწ. თელავის სახელმწიფო თეატრი,  
სადაც რეჟისორი იყო ვახტანგ აბაშიძე. 1934  
წელს კი ვახტანგ აბაშიძესთან ერთად ქუ-  
თაისის დრამატულ თეატრში გადადის.

1935 წელს ვახტანგ სალარიძე ვასო


აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის  
სახელმწიფო თეატრში მოდის. მოვიდა, რო-  
გორც ჩამოყალიბებული ინდივიდუალური აქ-  
ტიორული მანერის მსახიობი და გამორჩეუ-  
ლი, წამყვანი ადგილიც დაიკავა თეატრის  
შემოქმედებით ცხოვრებაში. ამ თეატრში  
შედგა ახალგაზრდა მსახიობის დებიუტი.  
ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი“, ლეანდრო  
— ვ. სალარიძე.

ლეანდროს მხატვრული სახე ყურადღე-  
ბას სწორედ სახასიათოსკენ ლტოლვით იპყ-  
რობს. სწორედ ამ როლით გაცხადდა მსა-  
ხიობის უნარი კომედიური ჟანრული პლას-  
ტების წვდომისა. ამ როლის წარმატებით  
შესრულებამ მსახიობს სათანადო რეპუტა-  
ცია დაუმჯგიდრა. აქ წარმოჩნდა მსახიობის  
იმპროვიზაციის უნარი, თეატრალური ფორ-

გუნდი ზაქარიაშვილი, ვახტანგ სალარიძე და იონა აგაპელია ბაქოს მუსიკალური თეატრის მსახიობებთან განკარის დროს



# 3268 სალარის 88



00000 გვრცი

მის მძაფრი გრძნობა, პლასტიკური სიზუსტისაკენ ლტოლვა, მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის მიმართება ჰიპერბოლურისა და გროტესკულისაკენ. მაგრამ გროტესკი აქ იაზრებოდა, როგორც ცალკეული გამოვლინება იმ ხერხისა, რომელიც საფუძვლად დაედება მის შემდეგდროინდელ ქმნილებებს.

ვახტანგ სალარიძეს უამრავი სცენური სახე აქვს შექმნილი. როგორი როლი არ უთამაშია — მთავარიცა და ეპიზოდურიც. მისთვის არ არსებობს დიდი და პატარა როლი. იგი ყოველთვის განმსჭვალულია რწმენით, რომ როლმა კი არ უნდა გამოაჩინოს მსახიობი, არამედ მსახიობმა როლი. ეს რწმენა მან რეალობად აქცია და მრავალ საექტაკლში სრულიად პარაზინა როლიდან შექმნა საინტერესო სახე.


ვახტანგ სალარიძის ბიოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და ნაყოფიერი პერიოდია მიხეილ ჭიაურელთან, დუდე ძნელადესთან, ბორის გამრეკელთან მოღვაწეობის წლები. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა უშანები ჩხეიძესთან და თვლის, რომ ეს ჭეშმარიტი დაოსტატების სკოლა იყო მის-თვის.

დღემდე მსახიობს ორასამდე როლი აქვს ნათამაშები, როგორც კლასიკურ, ასე-ვე თანამედროვე რეპერტუარში. საოცარი იყო იმედგაცრუებული შეყვარებული ნაპოლეონ სენ-კლოში („ბაიადერა“), შეუდარებელი შეყვარებული ბონი („სილვა“), ჭაბუკური გზნებით აღსავსე გერმანი („როზ-მარი“). სწორედ გერმანს თვლის თვით მსახიობი თავისი არტისტული სიჭაბუკის

გვირგვინად. სიხარულის მომტანი იყო მშვიდი და მოუსვენარი, დინჯი და ცელქი, მხიარული და თავდაჭერილი პანატელიასი („პერიკოლა“), უქნარა და ლოთი გურამ თეთრაძე („სიმღერა თბილისზე“), პეტიანი კუჭო („უცნაური მკვლელობა“), მიკირტუმა („მზის დაბნელება საქართველოში“), სოლეიმანი („არშინ-მალ-ალან“), აპოლონი („ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“), ავეტიკა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), ბუღლანა („ძველი თბილისის სურათები“), ჯორჯი და ჰაროლდი („ჩემი შეშლილი ძმა“), მიკი („ლალი ქარი“), პილატე („ნაბიჭვარი“), მამაზეციერი („დვთაებრივი კომედია“), ბოლმა ვანო („კურკას ქორწილი“), კარაპეტა („ძუნწი“).

ვახტანგ სალარიძის გამორჩეული როლები იმ სპექტაკლებში შეიქმნა, რომელთაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ამ თეატრის განახლებისათვის.

ერთ-ერთი ასეთი როლი იყო ბოლმა ვანო (გ. ცაბაძის „ბურკას ქორწილი“). ამ ხასიათისათვის მსახიობმა ყოველმხრივ გამომსახველობითი ხერხები გამონახა. ამ როლში იჩინა თავი მისმა საოცარმა იუმორმა, კომედიურმა მახვილმა გრძნობამ, გმირის შინაგან სამყაროში წვდომის ძალდაუტანებელმა მანერამ. იგი მწვავე სატირულ ფორმებს მიმართავდა... მსახიობი ბოლომდე აშიშვლებდა მოქნილსა და გაიძვერა ბოლმა ვანოს ზნედაცემულობას, სიხარბეს, შელახულ ადამიანურ ღირსებებს, მაგრამ ზიზღს მაყურებელში არ იწვევდა. იგი არსად არ აჭარბებდა და საოცარ ზომიერი იყო. ბოლმა ვანო სალარიძის შემოქმედების გვირგვი-



სხვდან: ვახტანგ სალარიძე და მოსკოვშელი თეატრმცოდნე  
დგანან: იოსებ ქარატაშვილი, ზოთა მილორავა

ნი გახლდათ.

ნიჭიერებით იყო გამორჩეული კარაპეტა დაბაღოვის სახე (შ. მილორავას „მუნწი“). შურითა და ღვარძლით სავსე თვალები და გონება ფულებსა და ოქროებს დასტრიალებდა. აქაც პაროდირებისა და იმპროვიზირების ისეთი ძალა გამოამუდავნა ვახტანგ სალარიძემ, რომ მსახიობის შესაძლებლობათა მრავალფეროვნება ეჭვმიუბანელი შეიქნა.


სალარიძემ კარაპეტას სახის შექმნისას გარდასახვის უდიდესი ოსტატობა წარმოგვიდგინა. დახვეწილი და უზადო იყო ხასიათის პლასტიკური ხატი. მსახიობი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პლასტიკას, რომლის სახიერებაზე ბევრად არის დამოკიდებული შექმნილი ხატის სახიერება. იგი ყოველთვის ექებს მხოლოდ ამ სახისათვის შესაფერ სიარულს, მოძრაობას, ჟესტს. პლასტიკასთან მჭიდრო კავშირშია ტანსაცმელი. ტანსაცმელი კარნახობს მოძრაობას.

ვახტანგ სალარიძემ იცის ტანსაცმლის ტარება. იგი პეტიონ ატარებს ფრაგსაც და ჩოხასაც, თანამედროვე კოსტუმსაც და ძველმოდურ ტანისამოსსაც.

ვახტანგ სალარიძეს მრა-



„ՏԵՂՑԱՐԴԱՌՈՅԻ ԹՁՄԱՆՈ ՑԱՐ“  
ՈՅԹՈՅՑ ՑԵՐՔՅՈ — Յ. ՏԱԼՎԱՐՈՅՈ



ვალი ჯილდო და სიგელი აქვს მიღებული. 1950 წ. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის, ხოლო 1966 წ. საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება.


მსახიობის ცხოვრება დღის მოძრაობასა ჰგავს. მას აქვს თავისი განთიადი, თავისი შუადღე, საღამო და დამე. ყოველ მომენტს ესაჭიროება თავისი პალიტრა. მაგრამ შუადამეს განა არა აქვს თავისი სილამაზე, როგორც მზის ამოსვლას? განა მზის ჩასვლისას არ გვხიბლავს იმგვარივე იდუმალი ფერები, როგორც მზის ამოსვლისას? შეიძლება ვინმემ თქვას, სალარიძის ლეანდრო უკეთესია, ვიდრე ბოლმა ვანო? გერმანი უკეთესია თუ კარაპეტა?

ვახტანგ სალარიძის ხელოვნება დღესაც უაღრესად თანამედროვეა. აზრი — ქმედითი, ემოცია — შინაგანად სავსე.

სცენაზე ყოფნა მას დღესაც დიდ სიხარულს ანიჭებს. როცა უნდა თამაშობდეს როლს, ის ყოველთვის ისე თამაშობს, როგორც პრემიერას, როგორც მაშინ... სწორედ ესაა მაყურებლისადმი მსახიობის უდიდესი პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატვა.

თეატრში მხოლოდ რჩეულნი რჩებიან და ყოველთვის ბრწყინვალე არტისტებად გვევლინებიან...

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრი ამაყობს იმით, რომ მის სცენაზე დღემდე დგას დიდი ქართველი მსახიობი, რომლის ტალანტიც ნებისმიერ სცენას დაამშვენებდა.



შეუვალია ჭარმაგი მსახიობის, თბილისის საპატიო მოქალაქის ავტორიტეტი კოლექტივში. ის ჩვენი თეატრის სახე და სინდისია.


### ბიბა ლორთმიზანიძე



**კ**ედნიერი ვიქებოდი, თუ ბატონ ვახტანგ სალარიძის შესახებ მამაჩემი — გიორგი ცაბაძე ისაუბრებდა, რადგან სწორედ მამას და მია ვახტანგის სამაგალითო მეგობრობამ, ნაყოფიერმა თანამშრომლობამ განაპირობა ის, რომ ქართული სასცენო ხელოვნების ეს ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი დღესაც ცაბაძეების ოჯახისათვის ძვირფასი და ახლობელი ადამიანია.

ათეული წლების წინ ჩაეყარა საფუძველი ვახტანგ სალარიძისა და გიორგი ცაბაძის ურთიერთობას — როგორც შემოქმედებითს, ისე პიროვნულს. ეს მოხდა ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში, სადაც მამას 20-მდე თავერეტა დაიდგა და უმრავლეს მათგანში წარტიქებისა და პარტიების მია ვახტანგი ასრუ-

„თოვლიანი მთაბის მალოდიები“ — თეიაზრაზი



ლებდა. ბევრ ნაწარმოებს გიორგი ცაბაძე სპეციალურად ვახტანგ სალარიძისათვის ქმნიდა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ოთარ მამფორიას „მეტეხის ჩრდილში“, სადაც ბატონმა ვახტანგმა ჩვეული ვირტუოზობით განასახიერა მთავარი გმირი — მია შაქრო.

პირადი ურთიერთობაც გამორჩეული ჰქონდა ორ ხელოვანს. მახსოვს, ერთხელ ბატონი ვახტანგის ავადმყოფობის გამო როგორი ანერვიულებული იყო მამა. ისედაც სიტყვაძუნწს, ხმას ვერ ამოაღებინებდი, ვერაფერს ჰკითხავდი. მათ თითქმის უსიტყვიდ ესმოდათ ერთმანეთის, ერთი ჰქონდათ დარღიც და ლხინიც და რაც მთავარია, ბატონი ვახტანგი დღესაც, როცა მამას გარდაცვალებიდან ათ წელზე მეტი გავიდა, უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით უფრთხილდება და სათუთად ინახავს ძველ მეგობრობას.

**1994** წელს რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში აღინიშნა მამას დაბადების 70 წელი. ბატონ ვახტანგს დიდი მოკრძალებით ვთხოვეთ, მონაწილეობა მიეღო საიუბილეო საღამოებში. ამასთან, ვშიშობდით, შეძლებდა თუ არა უკვე ასაკოვანი შემოქმედი ხანგრძლივ მოგზაურობას. წამითაც არ დაფიქრებულა ვახტანგ სალარიძე — „ჩემს გოგის როგორ გუდალატებო“ და როგორც სხვაგან, ისე დედაქალაქში გამართულ საიუბილეო ღონისძიებებზე ჩვენს გვერდით ბრძანდებოდა და ჭაბუკური, ახალგაზრდული ენერგიით გვამხნევებდა, გვალამაზებდა.

ბედნიერი ვარ, რომ მეც მხვდა წილად ქართული სცენის ბერმუხსასთან — ვახტანგ



სცენები საეძტაკლიდან „თოვლიანი მთების მელოდიები“

სალარიძესთან შემოქმედებითი ურთიერთობის სიხარული.

მადლობა თქვენ, ძია ვახტანგ, კაცობისათვის, ძმაკაცობისათვის, სიყვარულისათვის, ერთგულებისათვის, მამაშვილური მოფერებისათვის!

კვლავაც დიდხანს ყოფილიყავით მხნე და ჯანმრთელი ჩვენს იმედად!

გახა ცაბაძე  
კომპოზიტორი



## სიმღერის უპვდავება

„დამშვიდდით! მუდამ თქვენთან იქნება  
 ჩემი სიმღერა და წრფელი ნანა,  
 შემოგწირავდით ერთად ყველაფერს,  
 მაგრამ სხვა რაა სიმღერისთანა?“

ეს დიდებული სტროფი გალაკტიონს ეკუთ-  
 ვნის, მაგრამ მას სრული უფლებით შეუძ-  
 ლია ხელი მოაწეროს ჩვენი დროის უგამოჩე-  
 ნილებმა, სრულიად უნიკალურმა მომღერალ-  
 მა და მსახიობმა ბატონმა ვახტანგ სალარი-  
 ძემ.

ვახტანგ სალარიძეს უმაღლესმა წეს-  
 თგამრიგემ უბოძა ხელოვანისათვის ყველაზე  
 უფრო მთავარი და განმსაზღვრელი — მშო-  
 ბელი ერის სულის გამოხატვა. ვახტანგ სა-  
 ლარიძემ თავის სიმღერასა და შესრულება-  
 ში წარმოაჩინა ქართველი კაცის უკიდეგანო  
 სიხალისე, მისი სრულიად განსაციფრებელი  
 ოპტიმიზმი, მეგობრობისა და თანადგომისთვის  
 სადღედამისო მზადყოფნა და მიმტევებლობის  
 უზენაესობა.

ჩვენგან ადრე წასულ, ასე უღვთოდ წა-  
 სულ მედიკო ძიძიგურის წალკობში — ხელოვ-  
 ნების მოღვაწეთა სახლში — ჩემი მეუღლე  
 და მე ერთ-ერთ საღამოს ვესწრებოდით. ....და  
 როცა ავანსცენაზე ასასვლელი კიბე მარდად  
 ამოირბინა შუატანის, მკვიდრად შეკრულმა,  
 დია ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილმა  
 კოხტა მამაკაცმა და ომახიანი სიმღერა შე-  
 მოსძახა, პლასტიკურ ცეკვასთან დაწყვილებუ-  
 ლი, დარბაზი აფეთქდა, — ნუთუ ამ ხანში (სამი წლის შემდეგ ბატონ ვახტანგ სალარი-  
 ძეს 90(!) შეუსრულდება) შეიძლება ასე გამოი-  
 ურებოდე, ასე მოძრაობდე, ასე მღეროდე, ასე  
 გიხაროდეს ცხოვრება და შემოქმედება?!

რა თქმა უნდა, გენეტიკა, რა თქმა უნ-  
 და, რეჟიმი და კულტურული ადამიანისათვის  
 დამახასიათებელი თავის მოვლა, მაგრამ  
 მაინც მგონია, რომ ბატონ ვახტანგის გერო-  
 ტოლოგიური და შემოქმედებითი ხანგრძლივო-


ბის დვრიტა და ბალავარი — იმ სრულიად  
 განსაკუთრებულ სიკეთესა და კაცომყვარეო-  
 ბაშია, რაც მაღალ ნიჭთან ერთად დაებედა  
 ამ დიდ ადამიანსა და შემოქმედს.

და კიდევ: „ის ურჩევნია მამულსა...“ ეს  
 ფაქტორიც გასათვალისწინებელია, როცა ბა-  
 ტონ ვახტანგის საოცარ სიცოცხლისუნარია-  
 ნობაზე ვმსჯელობთ. მისი ოჯახის წევრები-  
 დან კარგად ვიცნობ ბატონ ვახტანგის ვაჟს  
 დავით სალარიძეს, რომელსაც მეგობრები და-  
 თოს ეძახიან.

დავით სალარიძე — საქართველოს სა-  
 ხალხო დამცველი — სრულიად არაორდინა-  
 რული მოღვაწე და პიროვნებაა. ორგანიზაცო-  
 რული ნიჭით უხვად დაჯილდოებული, უნარია-  
 ნი და ინიციატივიანი, დინჯი და ოპერატიუ-  
 ლი ერთდღოულად, ერუდირებული და გამ-  
 ჭრიანი, კონტაქტური და გამგები, შემწყნარე-  
 ბელიცა და პრინციპულიც, დიდად მომთხოვ-  
 ნი უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავის მი-  
 მართ, მტკიცე ნებისყოფით აღბეჭდილი, რაც  
 თავისებულად აკაბადონებს მის ყველა დადე-  
 ბით თვისებას, ქმნის ქარიზმატული ლიდერის  
 იმიჯს.

ბატონ ვახტანგს კი ვუსურვებ — მის  
 ასი წლისთავზე ასეთივე შემართებით ამოირ-  
 ბინოს ავანსცენის კიბეები, გაშალოს მკლა-  
 ვები და მოგვაგებოს სიმღერა, რომელსაც  
 შეწყვეტა არ უწერია.

დევი სტურუსა  
 მტორიულ მუციკურებათა  
 დოქტორი, პროფესორი



„პურბას ძორზილი“  
ბოლო ვანო — ვასტანგ სალარიმე

სახელმწიფო კულტურის დაცვის მინისტრი



## ПАТРИАРХ ГРУЗИНСКОГО ТЕАТРА

Для нас, россиян, Тбилиси был и остается артистической Меккой. Театральное небо столицы Грузии всегда сверкало ярчайшими звездами, которые могли бы украсить помостки театров любого города нашей планеты.

Одного из замечательной когорты грузинских мастеров сцены, безусловно, представляет Вахтанг Давидович Саларидзе - человек высочайшей артистической и гражданской культуры.

Впервые мы встретились с ним в Тбилиси в шестидесятые годы. Братья Серго и Бухути Закариадзе, представляя мне Вахтанга Саларидзе, сказали: „Наш лучший друг. В юности мы вместе начинали в театре. Се-

годня - он любимец публики...“ Вскоре к нам присоединились Гига Лордкипанидзе и Гоги Цабадзе. Беседуя о театре, музыке, мы как-то незаметно переместились в уютный ресторан старого Тбилиси и расстались далеко за полночь. Это было что-то фантастическое. Тосты - один ярче другого, импровизация ролей, остроумные анекдоты, шутки и, проникающие в душу, застольные грузинские песни и танцы в исполнении Вахтанга Саларидзе.

С тех пор мы встречались в каждый наш приезд в Тбилиси. При огромной своей популярности Вахтанг Саларидзе отличался необыкновенной простотой, скромностью. Шли годы, а он все не менялся. Был так-

же бодр, подтянут, выглядел значительно моложе своих лет. „Секрет моей молодости зарыт на сцене театра музкомедии“ - шутливо реагировал Вахтанг Давидович на наши комплименты. Есть люди, которые и в пожилом возрасте не теряют красоты и привлекательности, сохраняя каким-то чудом юношеский задор и интерес к жизни. Его любовь и преданность к родному Тбилиси, к родному театру широко известны в Грузии и вызывают восхищение.

В последний раз мы встретились два года тому назад в Доме актеров имени Акакия Хорава на праздновании 70-летнего юбилея всеми нами горячо любимого Гиги Лордкипанидзе. За праздничным столом, за которым собралась вся театральная общественность Грузии, тамадой был Теймураз Владимирович Чиргадзе, наш старый друг, человек редкой одаренности. Как и

все предыдущие дружеские грузинские зас tolъя и этот вечер был неповторимо изящен. Изюминкой же торжества явилось сольное пение 86-летнего Вахтанга Давидовича Саларидзе.

Пересказывать в Грузии биографию человека, одно упоминание имени которого способно в мгновенье привести в добре расположение духа - дело неблагодарное. Эпитеты „известный“, „замечательный“, „любимый“ в данном случае, по-моему, совершенно излишни, как сами собой разумеющиеся.



70 лет на грузинской сцене! Сотни различных по типажу и характеру ролей, большая часть которых по признанию театральных критиков навсегда вошла в сокровищницу летописи Грузинского государственного театра музыкальной комедии имени Васо Абашидзе.




# კახეთის სალიკიძე 88



„გენერი“ — ბარაპიტა





„ღვთაებრივი პოეზია“,  
გმირი — ვ. საჭარიძე

ридзевскую стать и в свои 88 лет! Не это ли мечта любого актера...

### КИРИЛЛ ЛАВРОВ


*Председатель Конфедерации театральных союзов независимых государств, художественный руководитель Санкт-Петербургского Большого драматического театра имени Георгия Товстоногова, народный артист СССР, лауреат Ленинской и Государственной премий*



„აბლაბუდა“, სერბი — ვ. საჭარიძე

Вахтанг Давидович Саларидзе, бесспорно, „ангажированный“ властью (и прошлой, и нынешней) и эпохой, всегда пытавшийся честно и талантливо служить народу, был и остается для многих из нас образцом. Его образ чуть грустного (как последний из могикан он остался единственным из той замечательной когорты грузинских артистов двадцатых годов!) и светлого человека, мудрого, философа любви, ценителя жизни и её прелестей воспринимается мною сегодня как величавый тамада за дружеским грузинским застольем, за которым пробуждаешься от будничного сна и благодаришь Господа Бога за счастье быть живым и услышанным.

Вахтанг Давидович сохранил актерское и гражданское обаяние, свою особую сала-



## გახტანგ სალარიძე და ბრიშა ჩსოვრელი

**ქ**ნელია, თითქმის შეუძლებელიც, მსახიობმა თავისი კოლეგა აღაფრთოვანოს. ვახტანგ სალარიძემ ესეც შეძლო. მისი თვითმყოფადი ნიჭის ერთ-ერთი თაყვანის-მცემელი გახლდათ გრიშა ქსოვრელი — ქართული ესტრადის მსახიობი, შესანიშნავი მუსიკოსი და მომღერალი, ბრწყინვალე მედუდუკე, თბილისელ მოქეიფეთა სული და გული.

ვახტანგ სალარიძეს და გრიშა ქსოვრელს ნამდვილი, მამაკაცური მეგობრობა აკავშირებდათ; მათ მშობლიური ქალაქის უსაზღვრო სიყვარული აახლოებდათ. და მართლაც, თხემით ტერფამდე ნამდვილი თბილისელები, ისინი ჩვენს დედაქალაქს ლაზათსა და კოლორიტს მატებდნენ. ამ ორმა დიდმა პროფესიონალმა შესანიშნავად იცოდა ქართული სუფრის მაღლი და მნიშვნელობა, მოლხენა იცოდნენ — მუსიკით, სიმღერითა და იუმორით სავსე მოლხენა.

უნდა გენახათ, რა სიყვარულითა და პატივისცემით ექცეოდა გრიშა ქსოვრელი ვახტანგ სალარიძეს, რომელსაც მუსიკალური კომედიის თეატრის უბადლო მსახიობად თვლიდა. „ვახტანგ სალარიძე დიდი მსახიობი და ძველი თბილისის ტრფიალია, განუმეორებელი თბილისური შარმი აქვს, მისნაირები აღარ იქნებიან...“ — ეს აწ გარდაცვლილი გრიშა ქსოვრელის სიტყვებია.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ არაერთხელ ვყოფილვარ მათი შეხვედრის მოწმე. ისინი ძველ თბილისს იგონებდნენ, გარდასულ დღეებსა და ამქვეყნიდან წასულებზე საუბრობდნენ...

ძველ თბილისს განუმეორებელი კოლორიტი ჰქონდა. ჩვენში დღესაც არსებობს ბევრისმომცველი, თითქმის პოეტური სიტყვა.

ვა — ქალაქელი, მისი მნიშვნელობის გადმოცემა შეუძლებელია — ეს თბილისელი კაცის სინდის-ნამუსი, ადამიანობა, ვაჟკაცობა და კიდევ ბევრი რამ არის...

„ქალაქელობა — ეს ადამიანის შინაგანი სამყარო, ცხოვრების წესი და ქცევის მანერაა — სახლში, ქუჩაში, სუფრასთან, ეს დედის რძესთან ერთად შეთვისებული სიყვარულია, ადამიანის სიყვარული! ქალაქელობა — ჩვენი ძმობა, მეგობრობა, პატივისცემა და საუკეთესო ადამიანური თვისებებისადმი რწმენაა, ჩვენი უფლება და მოვალეობა...“ — ვახტანგ სალარიძის ამ სადღეგრძელოს ხშირად იმეორებდა გრიშა ქსოვრელი, თან დააყოლებდა: — გინესის წიგნის ქართული ვერსია რომ არსებობდეს, ვახტანგ სალარიძეს აუცილებლად შეიყვანდნენ, თან არაერთი მუხლითო.


„სიონისუბნელი“ — ასე ეძახდა გრიშა ქსოვრელი ვახტანგ სალარიძეს, თავის მხრივ ბატონი ვახტანგიც ბევრ საინტერესოს ყვებოდა სახელგანთქმულ მედუდუკეზე. იხსენებდა, რომ ორმოციან წლებში თვით ლეგენდარულმა ჯანო ბაგრატიონმა მიიწვია გრიშა ქსოვრელი თავის ანსამბლში, შემდეგ კი ამ უკანასკნელმა შექმნა მედუდუკეთა ანსამბლი „სოილარი“, რომელმაც დაარსების პირველი დღეებიდანვე გაითქვა სახელი.

მახსოვს, ერთხელ ბატონ ვახტანგს კითხე: — გრიშა ქსოვრელმა, ესტრადის ასეთმა გამოჩენილმა და პოპულარულმა ოსტატმა, სცენა როგორ დატოვა-მეთქი. „დუდუკს ახლა მარტო ქართული სუფრა აცოცხლებს, გრიშას კი დუდუკის გარეშე არსებობა არ შეუძლია!“ — ასე მიპასუხა ქსოვრელის ნიჭის დიდმა თაყვანისმცემელმა.

არც ისე დიდი ხნის წინათ, ვახტანგ სალარიძის თხოვნით, რომელიც თავის დაბადების დღეს აღნიშნავდა, ძლივს მოვძებნე გრიშა ქსოვრელი. როგორც კი ბატონი ვახტანგის სახელი გაიგონა, მიუხედავად მოუცლელობისა, ყველა საქმე მაშინვე გადადო და თბილისის ძველ უბანში მდებარე რესტორან „ქალაქურს“ მივაშურეთ. საზეიმო მაგიდას უსხდნენ 85 წლის ვახტანგ სალარიძისა და მისი ერთადერთი ვაჟის დავითის მეგობრები და კოლეგები, როგორც იტყვიან — მამები და შვილები. უფროსმა თაობამ უმცროსებს ადროვა, ლაპარაკით გული მოეჯერებინათ. შემდეგ კი უფროსთაგან რომელიდაცამ მორიდებით წამოიძახა: „მოდით, ვიქეიფოთ, მეგობრებო!“ და აი, საოცრება დაიწყო... ვახტანგ სალარიძის შვიდათეულ წელს გადაცილებულმა მეგობრებმა, თვით ბატონ ვახტანგსა და გრიშა ქსოვრელთან ერთად, დაუკრეს, იმდერეს, ისე მოილხინეს, რომ რესტორნის მრავლისმომსწრე პერსონალმაც კი დაივიწყა თავისი საქმე და მოჯადოებული შესცემოდა ამ მართლაცდა საოცარ წარმოდგენას, რომელიც, სამწუხაროდ, აღარ განმეორდება...

ეს ორი ხელოვანის, ორი ნამდვილი თბილისელის უკანასკნელი შეხვედრა იყო. ...ახლაც მესიზმრება ქართული სუფრა, განთიადისას, ტკბილად ჩათვლემილს, თითქოსდა შორიდან ჩამესმის გრიშა ქსოვრელის დუდუკის გვნესა და ვახტანგ სალარიძის ხავერდოვანი ხმა, ჩემს წინ ჯადოსნური სამყარო იშლება — ზღაპარივით გხედავ ძველ თბილისს და მის უკვდაგ პერსონაჟებს — ვახტანგ სალარიძესა და გრიშა ქსოვრელს...

### ლევან დოლიძე



„სიმღერა თბილისზე“,  
გერამი — ვახტანგ სალარიძე



ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომადის  
სახელმწიფო თეატრის მთელი დასი


**ვ**ახტანგ სალარიძე იმ შემოქმედთა პლეა-  
დას ეკუთვნის, ოციანი წლების მიწუ-  
რულს რომ გამოვიდნენ სამსახიობო ასპა-  
რეზზე. შვიდი ათეული წელია ატყბობს  
იგი ქართველ მაყურებელს თავისი შეუდა-  
რებელი ხმით, დიდი არტისტული ტალან-  
ტითა და მომხიბლავი პლასტიკით. „მხია-  
რული ჟანრის რაინდი...“ — ასე შეარქევს  
მას და ამ სიტყვებით ყველაფერია ნათ-  
ქვამი. მართლაც, ქართული საოპერეტო  
ხელოვნების განვითარებაში უმნიშვნელო-  
ვანესი წვლილი ვახტანგ სალარიძეს  
მიუძღვის. იგი მუსკომედიის თეატრის პატ-  
რიარქია — ოპერეტის დიდი თაყვანისმცე-  
მელი და პოპულარიზატორი. მადლიერი  
მაყურებელი მუდამ მხურვალე ტაშით

აჯილდოებდა და ახლაც აჯილდოებს ბა-  
ტონი ვახტანგის ყოველ გამოსვლას სცე-  
ნაზე, თაყვანისმცემლები არასდროს მოჰ-  
კლებია ამ უბადლო მსახიობს.

ვახტანგ სალარიძე სულიო-ხორცამდე  
ქართველი ვაჟკაცი, უნიჭიერესი შემოქმედი,  
ნამდვილი თბილისელი და უცვლელი თამა-  
და.

მეოცე საუკუნე იწურება! ბატონო ვახ-  
ტანგ, გისურვებთ, ასევე მხნედ, ასევე ლა-  
მაზად შეგებიჯებინოთ მესამე ათასწლეულ-  
ში, როგორც დღეს ხართ. ჯანმრთელობა,  
შემოქმედებითი წარმატებები და ბევრი,  
ბევრი სიხარული ნუ მოგიშალოთ უფალმა.

მედეა ჩახაგა



საქართველოს კრეზიდენტის  
ბრძანებულება

№281 1996 წლის 18 აპრილი ქ. თბილისი

ვ. სალარიძის დირექტორის ორდენით  
დაჯილდოების შესახებ

ქართული თეატრალური ხელოვნების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისა და თბილის-ში მუსიკალური თეატრის დაარსებაში დიდი ნვლილისათვის თბილისის ვ. აბაშიძის სახელმისამართის მუსიკალური თეატრის მსახიობი საქართველოს სახალხო არტისტი ვახტანგ სალარიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ვ. შევარდნაძე

|  |  |
|--|--|
| <br><b>ПРАВИТЕЛЬСТВЕННАЯ</b><br><b>ТЕЛЕГРАММА</b>  |  |
| МИНИСТЕРСТВО СВЯЗИ СССР  |  |
| для заметок адресата   |  |
| <span style="font-size: 2em; font-family: monospace;">5</span> <span style="font-size: 0.8em;">номер</span><br><span style="font-size: 0.8em;">г. 0108</span> <span style="font-size: 0.8em;">час. мин.</span>   |  |
| Бланк № <span style="font-size: 1.5em;">322</span> <span style="font-size: 1.5em;">*</span><br><small>Принял:</small>  | <b>ПРАВИТЕЛЬСТВЕННАЯ ТБИЛИСИ ТЕАТР</b><br><b>МУЗЫКАЛЬНОЙ КОМЕДИИ САЛАРИДЗЕ</b><br><b>№ св. ...</b><br><b>ВАХТАНГУ ДАВИДОВИЧУ</b><br><small>Передал:</small><br><hr/> ПР МОСКВА 3/3103 46 Ч 1513 =<br><small>сл. во час. мин.</small> |
| <u>УВАЖАЕМЫЙ ВАХТАНГ ДАВИДОВИЧ СЕРДЕЧНО ПОЗДРАВЛЯЮ ВАС</u><br><u>С ВЫСОКОЙ ПРАВИТЕЛЬСТВЕННОЙ НАГРАДОЙ ТИРЕ ОРДЕНОМ ДРУЖБЫ</u><br><u>НАРОДОВ ТЧК от ВСЕЙ ДУШИ ЖЕЛАЮ ВАМ ДОБРОГО ЗДОРОВЬЯ</u><br><u>ЗПТ НОВЫХ ТВОРЧЕСКИХ УСПЕХОВ ЗПТ ВДОХНОВЕННОГО ТРУДА</u><br><u>НА БЛАГО НАШЕЙ ВЕЛИКОЙ РОДИНЫ=МИНИСТР КУЛЬТУРЫ СОЮЗА</u><br><u>ДЕМИЧЕВЪ</u> |  |
|  |  |
| 2. 3933 1979   |  |

საბჭოთა კავშირის ქულურის  
მინისტრის პიტრე დემიცევის  
სამთავრობო მოსალოცი დეკემბერ  
ვახტანგ სალარიძის ხალხთა  
გეგმისარიგის მოდენის დაჯილდოვის  
აღსანიშნავის

# კახტანგ სალარიძე 88




მარცხნიდან:

3. სალარიძე, ბ. იანვარაშვილი, ლ. აპაპელია (თეატრის მკრავი), ე. ჩოხელი,  
შ. შეღებია (გუნდის მსახიობი), ჭინ: შახბადოვი (ორკესტრანტი), რ. გახტაძე

**3**ინც ბატონ ვახტანგს შეხვედრია ცხოვ-  
რებაში ან სცენაზე, დამეთანხმება, რომ  
იგი გამორჩეული პიროვნებაა — თავისი კე-  
თილშობილურობით, სიდარბაისლითა და დი-  
დი ქართველობით. იგი ჭეშმარიტი შემოქმე-  
დია, საკუთარი ლამაზი ხმის ტემბრით, მომ-  
ხიბლავი გარეგნობით, დრამატიზმითა და  
ფაქიზი იუმორით დაჯილდოებული. ვახტანგ  
სალარიძე 70 წელი ემსახურა ქართულ  
თეატრს. ახლაც მხნედ არის. ყველას გულ-  
შემატკივარია, საოცარი მეგობრობა იცის,  
ამიტომაც დღესაც დიდი სიხარულით ელიან  
მის გამოჩენას სცენაზე.

ძვირფასო ბატონო ვახტანგ! ჯანმრთე-  
ლობას გისურვებო, XXI საუკუნეშიც ისეთი-  
ვე წარმატებით გაგეგრძელებინოთ სასცენო  
მოღვაწეობა და, რაც მთავარია, განახლებუ-  
ლი ვასო აბაშიძის სახელობის თეატრის  
სცენის ფარდაც თქვენ უნდა გახსნათ.


დიდი პატივისცემით  
გობი გეგმის კორი  
საქართველოს სახალხო არტსტი,  
მარჯანიშვილისა და სახალხო  
პრემიერის ლაურეატი



გახტანბ სალარიძის მეუღლე — ჩალგატონი თინა  
და შვილიშვილი — ნატურა



„ჩემო თგილის-ქალაქო...“



გახტანბ სალარიძის ვაჟი — დავით სალარიძე  
და რძალი — ნატო თათარაშვილი

# ვაკეტის დაღი 88



ქ. თბილისის მერია


25.11.98

## განეკარგულება





ქ. თბილისის საპატიო მოქალაქის  
წოდება მიერიქოს საძართვულოს სახალხო  
არცისფრ უახცევნე სალაშიძეს

ქ. თბილისის მერი

ი. ზოდელავა



სახელოვან გაბუას  
თბილისის საკათიო მოქალაქეობას ულოცავს  
მისი საყვარელი შვილიშვილი ნატურა



# 35 წელი საღარიცხვა



სიონის საკათედრო  
ტაძრის დეკანოზ მაგა  
აზირანთაძე ერთად

## ღმერთო, დამილოცე ჩემი უფროსი ძმა

„**რ**იდ არს უფალი და საკვირველ არიან საქმენი მისნი“. როცა ადამიანი იქმნება, „უფალი მას კონკრეტულ ტალანტს აძლევს. ბედნიერია ის, ვინც ამ ნიჭს სწორად გამოიყენებს და ჩააყენებს ხალხის სამსახურში. ამ მხრივ უბედნიერესია ბატონი ვახტანგი, ვინაიდან მას ბევრი ძიება არ დასჭირვებია და თითქმის მთელი საუკუნე თავის საყვარელ საქმეს ემსახურება — იგი უკვდავი მსახიობია.

ბედნიერი ვარ, რომ მის გვერდით წლების მანძილზე ვიზიარებდი იმ მოზღვავებულ ოვაციებს, რომელსაც მაყურებელი უმართავდა ბატონ ვახტანგს.

ბატონი ვახტანგი იმ კორიფეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც შექმნეს ახალი ქართული თეატრი: აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე, უშანგი ჩხეიძე და სერგო ზაქარიაძე, ვასო გოძიაშვილი და ვერიქო ანჯაფარიძე, დავით გამრეკელი და ბათუ კრავეიშვილი, პეტრე ამირანაშვილი, ნადეჟდა ხარაძე და ელენე ჩოხელი, თინათინ მერკვილაძე და ბარბარე იანგარაშვილი, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

ბატონი ვახტანგი მათ შორის ბერმუხაა, რომელსაც მუმლი ვერ ერევა. მიხარია, რომ დღესაც ვაჟაპურად დააბიჯებს იგი თავის საყვარელ თბილისში და თავისუფალ საქართველოში, რომელსაც მთელი ცხოვრება უმდერის.

ჩვენ სიონში შევხვდით ერთმანეთს, როდესაც იგი ლოცულობდა და სიამაყით იგონებდა უსაყვარლეს მამას, სიონის საკათედრო ტაძრის ყოფილ პროტოდიაკონს და მის საყვარელ უფროს ძმას.

ღმერთო, დამილოცე ჩემი საყვარელი უფროსი ძმა, მისი ოჯახი და მისი საყვარელი საქმე, მისი მეგობრები და გულშემატკივრები. ღმერთო, დიდხანს ატარე თბილისის ქუჩებში ლეგენდად ქცეული უკვდავი ვახტანგ სალარიძე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

*ბატონ გახტანგზე მუდამ მღლობელი,  
სიონის საკათედრო ტაძრის დეკანზი*

*ამირანი /ამირანაშვილი/*



## პაცი, რომელიც თმსაცს სიბერის

**პ**ატონი ვახტანგი ღვთისნიერი კაცია, ამიტომაც ალალია მასზე ღვთისგან ნაბოძები ეს ხანგრძლივი სიცოცხლე, რომელსაც ორი რვიანი — 88 ამშვენებს (ორი ცხრიანიც გვე-ზეიმოს, ამინ!).

ღმერთმა მოგცეს ჭირშიაც და ლხინშიაც — იტყვიან ხოლმე ბატონ ვახტანგზე და სწორედ ასეა, ვისაც ლხინში უნახავს ბატონი ვახტანგი, დამემოწმება, რომ მნელია მოძებ-ნო მისი თაობის მეორე ადამიანი, რომელიც ისე ამშვენებდეს ქართულ ლხინს, ქართულ სუფრას თავისი თამაღობით, სიტყვა-პასუხით, იუმორით და, რაც მთავარია, სიმღერით. არც მე ვარ ახალგაზრდა და მე ჩემს სიცოცხლეში არ მსმენია სუფრაზე ასეთი მომაჯადოებე-ლი, ამაღლებული და რაღაც დაუოკებელი ტემპერამენტით შესრულებული სიმღერა. ერთი სიტყვით, სიმღერის ჯადოქარია, სუფრის მშვენებაა.

ახლა ჭირში როგორი თანადგომა იცის: ჩაგკიდებს ხელს და, ოთარაანთ ქვრივის არ იყოს, რკინის ქალამნებს ჩაიცვამს და სანამ ყველა საშუალებას არ ამოწურავს, სანამ სულ არ დაიხარჯება და სანამ გაჭირვებიდან არ ამოგიყვანს, არ მიგატოვებს. ის არ ზოგავს თავის ავტორიტეტს, დიდ სიყვარულს ფართო მაყურებლისა, რომელიც სცენაზე გავლილი 70 წლის მანძილზე, თავისი ლამაზი და ჭეშმარიტი შემოქმედებით მოუპოვებია, ამიტომაც არის, რომ ვისაც რამე უთხოვია ბატონი ვახტანგისათვის, ყველა მაღლიერი ჰყავს!

ერთხელ, დაახლოებით 25 წლის წინათ სოხუმში ვიყავით გასტროლებზე. საღამოს სპექ-ტაკლის დამთავრების შემდეგ ბატონმა ვახტანგმა მთხოვა, ზღვის სანაპიროზე გავისეირნო-თო. ნაწვიმარი იყო, ზღვა ღელავდა. ქუჩაში არავინ ჩანდა. მხოლოდ მოაჯირზე, რომელიც კრავს ზღვის სანაპიროს, ვიღაც კაცი იყო ჩამომჯდარი და თვლემდა. უცებ კაცი გაქრა, ჩვენ მივცივდით მოაჯირთან და რას ვხედავთ, ტალღები ხან მოახეთებს ამ კაცს ამოშე-ნებულ კედელს, ხან წაიღებს და ზღვაში ჩასობილ რკინებში გააკვეხებს. ვხედავ, ბატონმა ვახტანგმა გახდა დაიწყო. რას აკეთებ-მეთქი, ვკითხე. „ხომ ხედავ, კაცი იხრჩობა, უნდა ვუშველოთ“. იმ დროს ბატონი ვახტანგი სამოც წელს გადაცილებული იყო, რა მექნა, მეც მივბაძე ბატონ ვახტანგს და გადავეშვით ზღვაში, მაგრად ღელავდა ზღვა. ბევრი ვაი-ვაგ-ლახის შემდეგ, როგორც იქნა, მივწვდით რკინებში გაკვეხებულ თითქმის დამხრჩვალ კაცს, შარვლის ტოტებში ჩაგავლეთ ხელი და ნაპირზე ამოვათრიეთ, ამასობაში ხალხი შეგროვდა. სასწრაფო დახმარებას გამოუძახეს და გონდაკარგული კაცი წაიყვანეს, სასტუმროში რომ მივედით, სულ იმ კაცზე ფიქრობდა, რამდენჯერმე შემეკითხა: ნეტა როგორ არისო. მეორე დღე გათენდა თუ არა, მაშინვე დამარცვინა სასწრაფოში. მორიგე ექიმმა გვითხრა: კარგად არის, გავიდა და ჩვენს წინ სასაუზმეში „პახმელიაზე“ გამოდისო. ბატონმა ვახტანგმა შვე-ბით ამოისუნთქა — „კაცო, ჩვენ ხომ სიკეთე გაგაკეთეთ, კაცს სიცოცხლე ვაჩუქეთ“ და იმ დღეს ვხედავდი ბედნიერ კაცს, რომელიც დააბიჯებდა სოხუმის ქუჩებში. ამის შემდეგ ბევ-რჯერ მსმენია ბატონ ვახტანგისაგან ასეთი სიტყვები: „სიკეთე უნდა ვთესოთ ქვეყანაზე, სიკეთე“ და მართალია, მე პოეტი არა ვარ, მაგრამ ამ სიტყვებით შთაგონებულმა, ბატონი ვახტანგს დაბადების დღის აღსანიშნავად, პატარა საჩუქარი, პატარა ლექსი ვუძღვენი: „კა-ცი, რომელიც თესავს სიკეთეს“, რომელზეც ძალიან სასიამოვნო მუსიკა დაწერა კომპოზი-ტორმა ვაჟა დურგლიშვილმა.

## კაცი, რომელიც თესაფს სიკეთეს

სიკეთე დავთესოთ, სიკეთე,  
სიკეთე დავთესოთ ჩვენ.  
სიკეთე დავთესოთ სუყველამ,  
სიკეთით მივწვდებით მზეს.

თვალებში ჩავხედოთ ერთმანეთს,  
შეცდომებს ნუ ვქექავთ ძველს,  
სიკეთე ვეძებოთ, სიკეთე,  
დღეს რაც რომ გვაკლია ჩვენ.

როდესაც მივდივართ ტაძრისკენ,  
მივყვებით სიკეთის გზებს,  
სიკეთე გვასწავლის სიყვარულს,  
სიკეთე გვინათებს ბნელს.

ჩვენ ნუ გავიმეტებთ ერთმანეთს,  
გულს ნუ ჩავუხერგავთ გზებს,  
ნუდარ ვაზეიმებთ ბოროტ სულს,  
ნუდარ გავიმწარებთ დღეს.

სიკეთე დაგვიცავს მუდამჟამს,  
სიკეთე ბოროტსა სძლევს,  
დავთესოთ სიკეთე, დავთესოთ,  
რომ ისევ მოვიმკათ ჩვენ.

ზურაბ პახიანი  
საქართველოს სახალხო არტისტი





# 33 კაცი საღარიძე 88

## კაცი, რომელიც თესავს სიკეთეს

მუსიკა გ. დურგლიშვილის  
ლექსი ზ. კახიანის

**ფართედ**

გავი X G | : 2. G Cm G | G G G |  
*mp* სი- კე- თე და- გ- თე- სო- სი- კე- თე და- გ- თე- სო- ჩვე- - ენ

ქალი (ჯგუფთან ერთად) G Cm G | G G G |  
 სი- კე- თე და- გ- თე- სო- სუ- ყვე- ლა- მი- გ- თი- მი- წვდე- ბი- მზე- |  
 ტა- ლე- ში ჩა- ხ- დო- ე- თმა- ნე- თს უ- დო- მე- ბს ნ- ე ვ- ე- ქ- ა- ვ- თ ძ- ვ- ლ- |

გავი G A7 G Cm6 G | G G G |  
 თ- გ- ა- ლ- ე- ბ- შ- ი ჩ- ა- ვ- ხ- დ- რ- ე- თ- მ- ა- ნ- ე- თ- უ- ე- დ- ლ- მ- ე- ბ- ს ნ- ე ვ- ე- ქ- ა- ვ- თ ძ- ვ- ლ- |

ქალი G A7 G C H Am G | G G G |  
 სი- კე- თ- ე ვ- ე- ბ- რ- თ სი- კ- ე- თ- ე დ- ღ- ლ- ე- ს რ- ა- ც რ- ო- მ გ- გ- ა- ლ- ი- ა ჩ- ვ- ე- ნ რ- ო- დ- ე- |

mf G C D Am6 G G G | C G G | C |  
 სი- ა- ც მ- ი- დ- ღ- ლ- ი- რ- ა- რ- ი- ს- კ- ე- ნ მ- ი- გ- ყ- ე- ბ- ი- |


F# Hm Bb Am7 Am6 D | Am6 D |  
 სი- კ- ე- თ- ი- ს გ- ზ- ე- ბ- ს სი- კ- ე- თ- ე გ- ვ- ა- ს- წ- ა- გ- ლ- ი- ს სი- გ- ა- რ- ე- ლ- ს |

G G G G G | Cm7 G Cm7 Eb F#9 |  
 სი- კ- ე- თ- ე გ- ვ- ი- ნ- ა- თ- ე- ბ- ლ- ს სი- კ- ე- თ- ე გ- ვ- ი- ნ- ა- თ- ე- ბ- ლ- ს |

ბ- ლ- ს 1. სი- კ- ე- თ- ე 2. სი- კ- ე- თ- ე


ჩვენ ნ- ე გ- ვ- ი- მ- ე- ტ- ე- ბ- თ ე- რ- თ- მ- ა- ნ- ე- თ- ს,  
 გ- ლ- ს ნ- ე ჩ- ა- ვ- უ- ხ- ე- რ- გ- ა- ვ- თ გ- ზ- ე- ბ- ს,  
 ნ- ე- დ- ა- რ გ- ა- ზ- ე- მ- ე- ბ- თ ბ- ო- რ- თ- ტ ს- უ- ლ- ს,  
 ნ- ე- დ- ა- რ გ- ა- ვ- ი- მ- წ- ა- რ- ე- ბ- თ დ- ღ- ლ- ს.

სიკეთე დ- ა- გ- ვ- ი- ც- ა- ვ- ს მ- უ- დ- ა- მ- ჟ- ა- მ- ს,  
 სიკეთე ბ- ო- რ- თ- ტ ს- ა ს- ძ- ლ- ე- ვ- ს,  
 დ- ა- გ- თ- ე- ს- ი- თ ს- ი- კ- ე- თ- ე დ- ა- გ- თ- ე- ს- ი- თ- ე,  
 რ- ო- მ ი- ს- ე- ვ მ- ო- გ- ი- კ- ა- თ ჩ- ვ- ე- ნ.



განახლებულ მშობლიურ თმატრთან





# 70 წელი ქართულ სცენაზე

„მე ბედნიერი კაცი ვარ იმით, რომ ბევრი დიდი  
მსახიობის გვერდით მომიხდა მუშაობა და მათგან  
ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ უბედური ვარ იმით, რომ  
ისინი ჩემი ხელით დავასაფლავე, – აი, ეს არის ჩემი  
ტრაგედია!“

„ჩვენი დამსახურება იმაშია, რომ შეგქმენით  
ქართული მუსიკალური კომედიის თეატრი, რომელიც  
აუცილებლად უნდა მაყურებელს, რადგან ქართველი  
კაცის რჯულსა და სისხლში არის დატანებული მუ-  
სიკა, სიმღერა, სიცილი, ცეკვა და ეს ყველაფერი ამ  
თეატრში უნდა იყოს თავმოყრილი“.

„უყვარდათ ჩვენი თეატრი და ეს ბედნიერება იყო  
ჩვენთვის. როცა დავფიქრდები, ვგრძნობ, რამდენი  
ბედნიერი დღე განმიცდია მაყურებლისაგან. ეს ნამ-  
დვილი ბედნიერებაა“.

კ. ჭავჭავაძე